140/1952 /3
ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

10
ოქტომბერი
1952



ზ ო ი ა  რ უ ხ ა ძ ე

მხატვარ რ. სტურუას ილუსტრაცია ი. ნონეშვილის პოემისათვის „ამგავი ერთი ქალიშვილისა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

№ 10

ოქტომბერი, 1952 წ.

წელიწადი XXVI

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ ნონეშვილი

# ზოია*

სახეზე ასდის მხურვალე ალი,
მკერდზედაც სისხლის წყვილი ზოლია.
სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგარი
სიკვდილის აჩრდილს ებრძვის ზოია.

ასე აწამა მტერმა წყეულმა,
ასე იყარა ჯავრი ბოლომდის...
ჭაში ჩააგდო მისი სხეული,
რომ დაეფარა კვალი ბოროტი.

სულის ამოსვლა აღარ აცალა,
რომ არ დაესწრო სხივებს დილისას.
ალბათ ეგონა, რომ ჭამ წაშალა
ამბავი ერთი ქალიშვილისა...

*

არა, არ არის მტერო მართალი,
ტყუილს არ აქვს ხელი მართალთან.
მაშინ დაიწყო მისი ამბავი,
შენ რომ გეგონა უკვე გათავდა.

ჭაში ჩააგდე, გეგონა წაშლის
მის შუქს, მის სითბოს მწუხრი, სიცივე.
ნახე, დღეს ყველა გოგონას თვალში
მისი სიცოცხლის შუქი ციმციმებს.

ალბათ გეგონა მისი ამბავი
იმღამინდელი ნისლივით მორჩა?..
სიმფეროპოლში მისი საფლავი
მშვიდობის მტერთა სამსჯავროდ მოსჩანს.

გეგონა ხუნდით დაიმონებდი?..
ის უკვდავების ხმად ჩაირკინა,
როგორც ზოია, როგორც ოლეგი,
როგორც ხახლოვი და ჩაიკინა.

უკვდავ სიცოცხლით გამოაშუქა,
ციდან ვარსკვლავად მოგვცა სალამი.
ყველა გმირ ქალთან, ყველა ჭაბუკთან
არდავიწყების დასდგა კარავი.

თვალწინ გვეხატვის, თვალწინ გვიდგება,
დაჰქრის მშვიდობის მტრებზე მუქარით,
როგორც სამშობლოს ძალა, დიდება,
თავისუფლების სული მქუხარი.

შორს, კორეაში ამერიკული
წივის, ბზოქრობს ტყვია წყეული.
მოსჩანს გოგონა ხეზე მიკრული,
მკერდზე საკინძეჩამოხეული.

ეკითხებიან:—სახელი გვითხარ,
სულყველაფერი გვითხარ მართალი.
რა დაგავალეს, სად იყავ, ვინ ხარ,
თქვენი ნაწილი ახლა სად არის?!

— ჩვენი ნაწილი სულ ყველგან არის,
სახელი გინდათ? ზოია მქვია!—
იტყვის და მორჩა სდუმს გმირი ქალი...
შემდეგ ზედიზედ მოხვდება ტყვია.

შემდეგ სხვა გმირი გოგონა მოსჩანს,
მასაც წამებით სტანჯავენ დიდხანს.
— ზოია მქვია!—იტყვის და მორჩა...
არც ერთი ოხვრა, არც ერთი სიტყვა.

მტერს უკვირს, როგორ ჰგვანან ერთმანეთს...
ისევ მრისხანედ იფეთქებს ტყვია.
მოჰყავთ მეორე, მოჰყავთ მესამე:
— ზოია მქვია!—ზოია მქვია!..

ბრაზობენ, უკვირთ, ვერ გაუგიათ
ვერც ჭკუით, ვეღარც გამოცდილებით:
ნეტავ სულ ყველას ზოია ჰქვია,
თუ ცოცხლდებიან დახოცილები?..

ნუ გიკვირს მტერო, მათ ვერ დაითვლი
ისინი რისხვის ქარიშხლად ჰქრიან.
სამშობლოსათვის მებრძოლ ქალიშვილს,
ყველა ქალიშვილს ზოია ჰქვია!

* ნაწყვეტი პოემიდან «ამბავი ერთი ქალიშვილისა».

5535

ეროვნული ბიბლიოთეკა



არკადი ჰაიდარი

მხატვარი კ. მახარაძე

# P. B. C.*

— ეჰ, შენ რა გითხრა!—ჩაილაპარაკა დიმკამ და მეტი არაფერი უთქვამს.

მაგრამ ჟიგანმა მის სიტყვებში ისეთი სიმწარე, ისეთი წყენა იგრძნო, რომ საბოლოოდ გაცბუნდა.

განა მე ვიცოდი, დიმკა?

— „ვიცოდი!" მე რა გითხარი?! დიდი დრო უნდოდა გარშემო შემოვლას? ახლა რაღა! აი, გოლოვენი ცხენს კაზმავს, სადღაც უნდა წასვლა, სად?! უთუოდ ლევკასთან, ან სხვა ვინმესთან, მოდით, გაჩხრიკეთო!

უცნობმაც შეხედა ჟიგანს, მის შემოხედვაში იყო მხოლოდ მსუბუქი საყვედური, და ლმობიერად თქვა:

— კარგი ბიჭები ხართ... — არც კი გაბრაზებულა, თითქოს საუბარი მას არ ეხებოდა.

ჟიგანი იდგა უხმოდ, თვალები გვერდზე არ გაურბოდა, როგორც ყოველთვის. თავის გასამართლებელი არაფერი ჰქონდა და არც უნდოდა თავის მართლება. და მან უპასუხა მოლუშულად, არა იმაზე, რასაც ეკითხებოდნენ:

— წითლები ქალაქში არიან, მათხოვარი ავდეი მოვიდა, ბევრნი არიანო, ამბობს, და უმეტესობა ცხენოსნებიო.—შემდეგ მან აიხედა და იმავე დაბალი ხმით თქვა:

—ვცდიდი... იქნებ როგორმე გამეღწია... კიდევ მოვასწრებ.

გაუკვირდა დიმკას. გაუკვირდა უცნობს, როდესაც ბავშვის მასზე მიპყრობილი სერიოზული, დიდი, შავი თვალები შენიშნა. და ყველაზე მეტად თვითონ ჟიგანი გააოცა საიდანღაც უეცრად გაჩენილმა გამბედაობამ.

ასე გადაწყვიტეს. უცნობმა წიგნაკიდან აჩქარებით ამოხია ფურცელი და ვიდრე ის წერდა, დიმკამ ქაღალდის მარცხენა კუთხეში დაინახა იგივე სამი გამოუცნობი ასო „P B. C." და შემდეგ ჯოხები, როგორც საგუშაგოზე.

— აჰა, — ჩაილაპარაკა მან და მიაწოდა,—გამომართვი, ჟიგან... ვსვამ ალუჩს, ორ ჯვარს. ამ ნიშნით ყოველი ჯარისკაცი, რა დროც არ უნდა იყოს, უმალვე უფროსს გადასცემს. აბა, უყურე, არ ჩავარდე!

— არ მოგვატყუო,—დაუმატა დიმკამ,—თუ არა და სულ ნუ კისრულობ... მომეცი მე თვითონ...

მაგრამ ჟიგანს ისევ აუციმციმდა თვალები და ჩვეულებრივი ტრაბახით მიუგო:

— თვითონაც ვიცი... მე რა, პირველად მიხდება თუ?..

ხვრელიდან გამოვარდა, აქეთ-იქით მიმოიხედა და საეჭვო რომ ვერაფერი შენიშნა, პირდაპირ გზის გადასაჭრელად გაქანდა.

მზე ჯერ კიდევ კარგა მაღლა იდგა ნიკოლსკის ტყის თავზე, როდესაც გზაზე ჟიგანი გამოვარდა. მის ახლოს იმავე გზით საითღაც ჩორთით ჩაიქროლა გოლოვენმა.

* * *

ტყის პირთან ჟიგანი ფქვილითა და ქონით დატვირთულ საზიდრებს დაეწია. ფორანზე იჯდა ხუთი შაშხანიანი კაცი. საზიდრები ნელა მიიწევდნენ წინ, ჟიგანს კი ეჩქარებოდა, ამიტომ გზიდან ბუჩქნარში შეუხვია და ტყის პირს გაჰყვა.

ხვდებოდა მაღალი, ყვითელი ყვავილებით დაფარული პატარა მინდვრები. ჩრდილში კოღოები ზუზუნებდნენ. მოჩანდა ველური ჟოლოს ნაყოფი. გზადაგზა მოწყვიტა ერთი, მეორე... მაგრამ ერთი წუთითაც არ შეჩერებულა.

„ხუთი კილომეტრი გავარტყი!—გაიფიქრა მან.—კარგია, თუ შემდეგაც ასე დაუბრკოლებლად ვიარე". როკები სიარულში ხელს უშლიდნენ, და იგი გზაზე გამოვიდა.

მოსახვევს იქით შეუხვია და თვალები მოჭუტა. ათას-

* დასასრული. იხილე „პიონერი" № № 8 და 9.

ფრად ბრწყინავდნენ ჩამავალი მზის მოწითალო სხივები. მაღალი ნეკერჩხლის კენწეროდან წკრიალა ხმით დაუსტვინა რომელიღაც ჩიტუნამ და ბუჩქების ფოთლებში რაღაც გატკაცუნდა.

— ეი!—მოესმა მას ჩუმი შეძახილი.

შემობრუნდა, მაგრამ ვერავინ დაინახა.

— ეი, ბიჭო, მოდი აქ!

ჟიგანმა გზის პირას, თივის პატარა ზვინის უკან, ორი შაშხანიანი კაცი გაარჩია, რომლებიც, როგორც ჩანს, ვიღაცას ელოდებოდნენ. იქვე, ხეებთან, მათი ცხენები იდგნენ.

მიუახლოვდათ.

— საიდან მოდიხარ?.. საით?..

— იქიდან...—თქვა მან, ხელი გაიქნია და ენა დაიბა, რომ მოეფიქრებინა, როგორ განეგრძო.—ფერმიდან ვარ, ძროხა გამექცა... იქნებ. სადმე შეგხვდათ? წითელია და ცალი რქა წახერხილი აქვს. ღმერთმანი, თითქოს მიწამ ჩაყლაპა, უიმისოდ კი — სჯობს სულაც არ დავბრუნდე შინ!

— არ გვინახავს... რომელიღაც დეკეული კი დაეხეტებოდა აქ, მაგრამ ის უკვე დილით შესანსლეს ჩვენებმა... შენ რაიმე საზიდრები არ შეგხვედრია?

— მოდიან ვიღაცეები... უკვე ახლოს უნდა იყვნენ.

უკანასკნელმა ცნობამ დიდად დააინტერესა მოსაუბრენი, ვინაიდან ისინი სწრაფად წამოდგნენ და ცხენებისაკენ გაემართნენ.

—აბა, მოახტი!—შესძახა ერთმა, რომელმაც ცხენები მოიყვანა.—ზურგს უკან შემომიჯდები!

—მე შინ უნდა წავიდე, მე ძროხა უნდა...—საცოდავად აღრიალდა ჟიგანი.—სად უნდა წამოვიდე?..

— შემომიჯექი, როგორც გეუბნები. აქვე, ახლოს გაგიშვებთ. თორემ შენ მეურმეებთან წამოროშავ.

ამაოდ არწმუნებდა ჟიგანი, რომ მას ძროხა ჰყავს მოსაძებნი, რომ შინაა წასასვლელი, რომ იგი არაფერს ეტყვის მეურმეებს, — არაფერი შველოდა. და მისთვის სრულიად მოულოდნელად ერთ-ერთი მწვანე რაზმელის უნაგირს უკან აღმოჩნდა. გასწიეს ჩორთით. სხვა დროს ეს დიდ სიამოვნებას მოჰგვრიდა ჟიგანს, მაგრამ ახლა სრულებით არა. განსაკუთრებით მაშინ არ ეამა ჟიგანს, როდესაც რამდენიმე გადაკრული სიტყვიდან გაიგო, რომ ისინი ლევკას რაზმში მიდიან, რომელიც ტყეში რაღაცას ელოდება. ერთიც ვნახოთ, გოლოვენი დამხვდეს იქ,—გაუელვა უცებ თავში, — რომ მიცნოს ხელად, მაშინ?—და თითქმის მოუფიქრებლად, შიშით შეპყრობილი ჟიგანი ცხენიდან კისრისტეხით ჩამოვარდა და გზიდან სირბილით გადაუხვია.

— საით, ეშმაკის ფეხო?—სწრაფად შეაყენა ცხენი ერთმა და შაშხანა შემართა.

შესაძლებელია, ჟიგანს ვერც მოესწრო ხეებამდე მირბენა, რომ მეორეს ამხანაგისთვის ხელში ხელი არ ეტაცნა და გაჯავრებით არ დაეყვირა:

— შეჩერდი! არ ისროლო, მთელ საქმეს გააფუჭებ!

კი არ შეირბინა, შეიჭრა ტყის სიღრმეში ჟიგანი; ჯიქურ მიარღვევდა ტევრს, ახტებოდა ბუჩქებს, სულ უფრო ღრმად მიიწევდა. და მხოლოდ მაშინ, როდესაც მთლიანად გაბარდულ ვერხვნარის შუაგულში გაჩნდა, და მიხვდა, რომ ცხენოსნები აქ ველარაფრით შემოაღწევდნენ, სულის მოსათქმელად შეჩერდა.

,,ლევკა!—გაიფიქრა მან.—უთუოდ მასთან წავიდა გოლოვენი.—და უმალვე შეეკუმშა გული.—შებინდებამდე მაინც არ მოასწრებდნენ: ღამით სულერთია ვერ მიაგნებენ, დილით კი, შეიძლება, წითლებიც...“.

გზაზე იგრიალა თოფმა,—ერთხელ, მეორედ...

,,მეურმეებთან..—მიხვდა ის,—აჩქარებაა საჭირო, აქ კი, გზა არაა“.

მაგრამ ტყე მალე გამეჩხერდა, და მის ფეხებქვეშ ისევ გზა გაჩნდა. ჟიგანმა სული მოითქვა და სირბილი განაგრძო. ოცი წუთიც არ გასულა, რომ პირდაპირ მის შესახვედრად ჩორთით გამოვარდა რაზმი, რომელიც სადღაც მიისწრაფოდა. გონს მოსვლა ვერ მოასწრო ჟიგანმა, რომ მხედრებით გარშემორტყმული აღმოჩნდა. შეშინებული თვალები მიმოავლო და შიშისგან კინაღამ წაიქცა, როდესაც მათ შორის გოლოვენი დაინახა. მაგრამ იმის გამო, რომ იგი სულ ორჯერ თუ შეხვედროდა ჟიგანს, ან იმისგან, რომ აქ არ ელოდა წასწყდომოდა ბიჭს, და ბოლოს შეიძლება იმიტომაც, რომ აჩქარებით შეკაზმულ ცხენს უხეირო მოსართავი მოშვებოდა და ახლა იმ მოსართავის მოჭერას შეუდგა,—გოლოვენს მისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

—ბიჭო,—შეეკითხა მას ერთი ზოზროხი, ჭალარაულვაშიანი რაზმელი,—სად ეშმაკებში მიეხეტები?!.

— ფერმიდან ვარ...—დაიწყო ჟიგანმა,—ძროხა დავკარგე... შავი, ხალიანი...

— სტყუი! აქ არავითარი ფერმა არ არის.

ჟიგანი კიდევ უფრო მეტად შეშინდა და ენის ბორძიკით მიუგო:

—აქ არა... როგორც კი სროლა დაიწყეს, შემეშინდა და გამოვიქეცი.

— გაიგეთ?—შეაწყვეტინა პირველმა.—ხომ ვამბობდი, სადღაც ისვრიან მეთქი!

— ღმერთმანი, ისროდნენ,—სწრაფად ალაპარაკდა ჟიგანი, რომელიც რაღაცას მიხვდა,—ნიკოლსკის გზაზე. იქ გლეხებს კოზოლუპისთვის სურსათი მიქონდათ, ლევკას ბიჭები კი თავს დაესხნენ.

— როგორ, თავს დაესხნენ?!—მრისხანედ დაიღრიალა მხედარმა.—როგორ გაბედეს!

—ღმერთმანი თავს დაესხნენ... თვითონ გავიგონე: ჩაძაღლდესო კოზოლუპი... ეყოფაო... ისედაც ჭამით სკდებაო ბებერი ეშმაკი...

— გესმით?!—დაიღრიალა მწვანემ,—ეს მე ვსკდები ჭამით?!

— ჭამით სკდებაო.—დაუდასტურა ჟიგანმა, რომელსაც ლაპარაკის საღერღელი აეშალა.—თუ რამეს გაბედავსო, ამბობდნენ, გავახსენებთო.. მე რა? ეს სულ იმათი სიტყვებია.

ჟიგანი მზად იყო კიდევ წამოეყრანტალებია კოზოლუპის ღირსების შეურაცხმყოფელი არა ერთი ათეული სიტყვა, მაგრამ ის ისედაც უსაზღვროდ იყო გაცოფებული, ამიტომ მრისხანედ დაიღრიალა:

— ცხენებზე!

— ამას რა ვუყოთ?—შეეკითხა ვიღაც და ჟიგანზე მიუთითა.

— მაგას ერთი მათრახი გადაუჭირე, რომ შემდგომში ასეთი სიტყვების მოსმენა ვერ შესძლოს.

რაზმმა ჭენებით გასწია ერთ მხარეს, ჟიგანი კი, რომელსაც ტყუილ-უბრალოდ მოხვდა, მეორე მხარეს გაქანდა, გახარებული იმით, რომ ასე იოლად დააღწია თავი განსაცდელს.

,,ახლა შეიბმებიან,—გაიფიქრა მან გზადაგზა.—სანამ გაიყრებიან, დაღამდება კიდეც.

მწუხრი გამუქდა. ვარსკვლავები გამოეფინნენ. ჩამოღამდა. ჟიგანი კი ხან გარბოდა, ხან მიდიოდა; მძიმედ სუნთქავდა, იშვიათად შეჩერდებოდა სულის მოსათქმელად. ერთჯერ შემოესმა მწყობრი რაკრაკი, სიბნელეში მოძებნა ნაკადული და გახურებულმა რამდენიმე ყლუპი ცივი წყალი დალია, ერთჯერაც ობლად დაყუდებულ გადაღრეცილ ჯვარს წააწყდა გზისპირას და შეშინებული განზე გახტა. თანდათან სასოწარკვეთილება იპყრობდა. მირბიხარ, მირბიხარ, ბოლო კი არ ჩანს. შეიძლება, დიდი ხანიცაა, გზას ასცდა. ვინმე მაინც იყოს, რომ შეეკითხოს.

მაგრამ არავინ იყო, რომ ეკითხნა. გზაზე არ ხვდებოდნენ არც გლეხები, ზანტად მოჭრიალე ურმებით, არც კოცონთან თავშეყრილი მთიბავები, არც ბავშვები, ცხენებით, და არც ქალაქიდან მომავალი შეგვიანებული მგზავრები.

ჩუმი და უკაცრიელი იყო ბნელი გზა. მხოლოდ ბულბული უსტვენდა მთელი ხმით, მხოლოდ მას ერთს არ ეშინოდა და ხმამაღლა დასცინოდა მიყუჩებული მიწის ღამის საშინელებებს.

და აი, იმ დროს, როდესაც ჟიგანმა სრულიად დაკარგა ყოველგვარი იმედი, გზა ორად გაიყო. „ესეც ახალი ამბავი! ახლა რომელს გავყვე?“ და შედგა.

გა-გა...—მოესმა საიდანღაც ხმადაბალი ყიყინი. „ბატები!“ კინაღამ წამოიყვირა მან, და მხოლოდ ახლა გაარჩია თითქმის ცხვირწინ, ბუჩქებს იქით, პატარა ფიცრული.

ძაღლი გაცხარებით აყეფდა. თითქოს სახლს ბიჭი კი არა, დათვი უახლოვდებოდა. აღრუხუნდნენ შეშფოთებული ღორები, და ჟიგანმა კარზე დააკაკუნა.

— ჰეი, ჰეი! გააღეთ!

პირველად ხმა არავინ გასცა. შემდეგ ქოხში გაისმა ხველა, ფაციფუცი და ქალის ხმამ ჩუმად ჩაილაპარაკა:

— ღმერთო, ეს კიდევ ვინ მოდის?

— გააღეთ!—გაიმეორა ჟიგანმა.

მაგრამ ისეთი დროება არ იყო, რომ შუაღამისას ყოველი გამვლელისათვის კარი გაეღოთ, და ვიღაცამ ხრინწიანი ხმით იკითხა ნამძინარევზე:

—ვინ არის მანდ?

— გააღეთ! ეს მე ვარ, ჟიგანი.

— ვინ ეშმაკი ჟიგანი! აი, გესვრი კარებიდან ბერდანკას!

ჟიგანი უმალვე განზე გახტა და, მიხვდა რა თავის შეცდომას, აღრიალდა:

— ჟიგანი არა! გაიძვერა არა... ეს მეტსახელია... ვასკას მეძახიან... მე ხომ ჯერ პატარა ვარ... მე მხოლოდ გზა მინდა ვიკითხო, რომელი მიდის ქალაქისაკენ.

— აქეთ რომაა, ის მიდის ქალაქისაკენ, მეორე კი პოდდუბოვკაში.

— ისინი ხომ ორივე აქეთაა... განა დაკეტილ კარებიდან გაიგებ?

ერთხანს სდუმდნენ კარსუკან—ჩანს ფიქრობდნენ.— მაშ ფანჯარასთან მოდი, იქიდან გაჩვენებ. შემოშვებით კი—არა! მერე რა რომ პატარა ხარ, იქნება, შენს უკან კაი დიდი ბიძიაა ჩასაფრებული.

ფანჯარა გაიღო, და ჟიგანს გზა უჩვენეს.

— ახლოსაა, ერთი კილომეტრი თუ იქნება. აქვე, ტყისპირს იქით.

ეგ იყო და ეგ!—და იმედით ფრთაშესხმულმა ჟიგანმა ისევ სირბილით გასწია.



ფორანზე იჯდა ხუთი შაშხანიანი კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— გეს̈მით?!—დაიღრიალა მწვანემ,—ეს მე ვსკდები ჭამით?!

* * *

პატარა, მრუდე ქუჩაზე უმალვე შეაჩერა პატრულმა და შტაბი აჩვენა. ნამძინარევმა წითელარმიელმა უხალისოდ მიუგო:

— რა ბარათი! დილას მოდი! — მაგრამ სასწრაფო ალურის ჯვრები რომ შენიშნა, ქაღალდი გამოართვა და დაიძახა: — ჰეი მანდ!.. სადაა მორიგე?

მორიგემ შეხედა ჟიგანს, ბარათი გაშალა და მარცხენა კუთხეში ისევ ის გამოუცნობი ასოები რომ შენიშნა, უმალ მოსწია სანათი: როგორც კი წაიკითხა, ტელეფონს მივარდა: „მეთაური მინდა!.. კომისარი!" თვითონ კი აჩქარებით დაიწყო სიარული ოთახში.

შემოვიდნენ ორნი.

— შეუძლებელია! — გაოცებით დაიყვირა ერთმა.

— ისაა, რასაკვირველია, ის! — სიხარულით შეაწყვეტინა მეორემ.

—მისი ხელმოწერაა, მისი ბლანკი ვინ მოიტანა!

და ყველამ ახლაღა მიაპყრო მზერა კუთხეში მიყუჩებულ ჟიგანს.

— როგორია ის?

— შავგვრემანი... ჩექმები აცვია... მკერდზე ვარსკვლავი აქვს მიმაგრებული, ვარსკვლავზე კი პატარა წითელი დროშა გამოდის.

— ჰო, რასაკვირველია, ორდენი!

— ოღონდ ჩქარა, — დაუმატა ჟიგანმა, — მალე ინათებს... მაშინ კი ბანდიტები... მოკლავენ თუ მიაგნეს.

რა ამბავი ატყდა! აფუსფუსდნენ ყველანი, აწკრიალდნენ ტელეფონები, აბაკუნდნენ ცხენები. და მთელ ამ ალიაქოთში, მოქანცულმა ჟიგანმა გაარჩია რამდენიმეჯერ განმეორებული სიტყვები: „რასაკვირველია, არმია!... ისაა! რევოლუციური სამხედრო საბჭო!"

სწრაფად, სწრაფად გასძახა საყვირმა და ცხენების თქარათქურისაგან ფანჯრის მინები აზრიალდნენ.

აჩქარებით შემოალო კარი მაუზერითა და ხმლით შეიარაღებულმა მეთაურმა. — ეს შენა, ბიჭუნავ?... ვასილჩენკო, შეისვი ცხენზე...

მოხედვაც ვერ მოასწრო ჟიგანმა, რომ ვიღაცამ მძლავრი ხელებით მიწიდან აიტაცა და ცხენზე შესვა. ისევ შესძახა საყვირმა.

— ჩქარა! — ბრძანების კილოზე დაიყვირა ვიღაცამ პარმაღიდან. — უნდა მოასწროთ!

— არის, მოვასწროთ! მიუგეს ერთხმად ჯარისკაცებმა.

შემდეგ:

— იარ!

უმალ მოსწყდა ადგილს და სიბნელეს შეერია ცხენოსანთა რაზმი.

* * *

შეწუხებული დიმკა და უცნობი კი ელოდნენ და ფხიზლად უგდებდნენ ყურს იმას, რაც ირგვლივ ხდებოდა.

— სჯობს, შინ წახვიდე, — რამდენიმეჯერ შესთა-

ვაზა უცნობმა დიმკას.

მაგრამ ის გაკერპდა.

— არა! — თავს გააქნევდა ის, — არ წავალ!

ხვრელიდან გამოვიდა, თივა აფუტკნა, იმით შესასვლელი ხვრეტილი ამოავსო და უკანვე შეძვრა.

უხმოდ ისხდნენ. ლაპარაკის თავი არ ჰქონდათ. მხოლოდ ერთხელ წაიბუტბუტა დიმკამ და ისიც გაუბედავად:

— დედას ვუთხარი: შეიძლება, მამასთან მალე წავიდეთ მეთქი, ის სიხარულისგან კინაღამ გაიგუდა, შემდეგ კი დამიტია: ტყუილად რას ლაქლაქებო!“

—წახვალ, წახვალ, დიმკა. ოღონდ...

მაგრამ დიმკა თვითონ გრძნობს, როგორი დიდი და საშინელია ეს „ოღონდ“, ამიტომ ჩალასთან მიყუჩდა და რაღაცაზე ფიქრობს.

საღამოვდებოდა. ფარდულში სულ უფრო მკვეთრად მოჩანდა ჩამოწოლილი კუთხეების ბნელი სიცარიელე, და მასში შეუმჩნევლად იკარგებოდა ჭუჭრუტანებიდან შემოჭრილი სინათლის ნარჩენები.

— ყური მიუგდე!

დიმკა აკანკალდა კიდეც.

— მესმის!

და უცნობმა მაგრად მოუჭირა ხელი მის მხარს.

— მაგრამ ვინ არიან?

სოფლის იქით, მინდორში უწესრიგოდ, კანტიკუნტად იჭექეს თოფებმა და ქარმა ის ხმა აქ სათამაშო ზარბაზნების ტკაცანად მოიტანა.

—იქნებ წითლები არიან?

— არა, არა, დიმკა! წითლების მოსვლა ჯერ კიდევ ადრეა.

ყველაფერი მიჩუმდა. კიდევ ერთი საათი გავიდა. შეძახილებმა და თქარა-თქურმა, რომელმაც სოფელი აავსო, ფარდულამდე მოიტანა შემაშფოთებელი ცნობა იმაზე, რომ ვიღაც უკვე აქვე, სულ ახლოსაა.

ხმა ხან ახლოვდებოდა, ხან შორიდან მოისმოდა, მაგრამ აი, სულ ახლოს გაისმა.

— სარდაფშიც? საცეხველშიც? — იკითხა ვიღაცის მკვახე ხმამ.

—ყველგან!—მიუგო მეორემ.—მაგრამ მე მგონია, რომ უფრო სადმე აქ უნდა იყოს.

„გოლოვენი!“ იცნო დიმკამ. უცნობმა კი ხელი გაიწოდა და სიბნელეში ოდნავ, ცივად აელვარდა მშვიდი ნაგანი. — ბნელა, ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი! ლევკას მიზეზით რამდენი დაგვაგვიანდა!

— ბნელა! — გაიმეორა ვიღაცამ. — აქ შეიძლება კისერიც მოიტეხო. ერთ ფარდულში შევძვერი, ზემოდან ფიცრები დამეცა... კინაღამ თავში მომხვდა. — ადგილი კი ისეთი შესაფერისია! ხუთიოდე ბიჭი ხომ არ დაგვეტოვებინა აქ გათენებამდე?

— დავტოვოთ.

ოდნავ მოეშვათ გულზე. იმედი მოეცათ. ერთ-ერთ ჭუჭრუტანიდან მოჩანდა, როგორ აკიაფდა შორიახლოს კოცონი. თითქმის ჩამოქცეულ კართან მოვიდა ცხენი და ჩალის ბლუჯას უხალისოდ დაუწყო ცოხნა.

არ იქნა და არ ინათა. ბოლოს ათამაშდა ციაგი, ვარსკვლავები გაფერმკრთალდნენ.

მალე ისევ დაიწყება ჩხრეკა. ვერ მოასწრო, ან სულაც ვერ გააღწია ჟიგანმა.

— დიმკა,—ჩურჩულით წარმოთქვა უცნობმა,—მალე დაიწყებენ ძებნას. იმ მხარეს, სადაც კარები ჩამოიქცა, მიწასთან ახლოს, არის პატარა ხვრეტილი. შენ პატარა ხარ და გაძვრები... გაცოცდი იქითკენ.

— შენ?

— მე დავრჩები... აგურებქვეშ, შენ იცი სადაც, შევინახე ჩანთა, ბეჭედი და ბარათი შენს შესახებ. გადაეცი წითლებს, როცა არ უნდა მოვიდნენ. აბა, გაცოცდი სწრაფად!—და უცნობმა მაგრად, როგორც დიდს ჩამოართვა ხელი, და ნელა მოიშორა.

დიმკას ცრემლი აღრჩობდა. კიდეც ეშინოდა და კიდეც ენანებოდა უცნობის მარტოდ დატოვება. ტუჩებს იკვნეტდა, ცრემლებს ყლაპავდა და ასე გაცოცდა აგურების დაფანტულ ნარჩენებზე ბორძიკით.

ტარა-ტა-ტახ!—გაჰკვეთა უცებ ჰაერი. ტარა-ტა-ტახ! ბა-ბახ! ტიუ-უ, ტიუ-უ...—გაიწივლა ფარდულის თავზე.

ყვირილი, შეძახილები, „ლუისის“ დაცლილი მჭიდეების ზრიალი... ყველაფერი ეს ისე უეცრად შეიჭრა და გააპო ალიონის სიწყნარე და მასთან ერთად დიდიხნის მოლოდინი, რომ თვითონ დიმკასაც არ დაამახსოვრდა, თუ როგორ გაჩნდა კვლავ უცნობის გვერდით. თავის შეკავებისათვის ძალა აღარ ეყო და ხმამაღლა ატირდა.

— რა გატირებს, სულელო?—სიხარულით ჰკითხა უცნობმა.

— ეს ხომ ისინი არიან... მიუგო დიმკამ ღიმილით, მაგრამ ტირილის შეუწყვეტლად.

ჯერ კიდევ არ შემწყდარიყო სროლა სოფლის იქით, სადღაც კიდევ ყვიროდნენ, როდესაც ფარდულთან ათქარუნდნენ ცხენები და ნაცნობი გამომწვევი ხმა აყვირდა:

— აქეთ! აქეთ!

ჩალის ძნები განზე გადაყარეს. ჭუჭრუტანაში სინათლე შემოიჭრა და ვიღაცამ შეშფოთებით და აჩქარებით იკითხა:

— აქა ხართ, ამხანაგო სერგეევ?

და ირგვლივ საიდანღაც უამრავი ხალხი გაჩნდა: მეთაური, კომისარი, წითელარმიელები, ფერშალი ჩანთით, და ყველანი ხორხოცობდნენ, ყვიროდნენ რაღაც სრულიად შეუსაბამოს.

— დიმკა,—სიამაყით სული ეგუბებოდა ჟიგანს და ჩქარობდა ეამბნა,—მოვასწარი... აქეთ ცხენით მოვქროდი... ახლა კი მწვანეებსაც შევები... შიგ შუაგულში... ერთს თავში რომ ვხეთქე, ჩამოვაგორე კიდეც ცხენიდან.

—სტყუი, ჟიგან... აუცილებლად სტყუი... შენ ხმალიც კი არ გაქვს, —მიუგო დიმკამ და გაიცინა. ჯერ კიდევ ცრემლმორეულმა.

* * *

მთელი დღე მხიარულება იყო.

დიმკა ყველგან ტრიალებდა. ბავშვებს დიდად უკვირდათ მისი, და ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ იმ ადგილის სანახავად, სადაც ლტოლვილი იმალებოდა. ასე, რომ საღამოსათვის ბუნაგის ირგვლივ ჩალა ისე იყო დატკეპნილი და გაქელილი, თითქოს ნახირს მოეჯეგოს. ალბათ დიდი უფროსი იყო ახლახან განთავისუფლებული ტყვე, ვინაიდან მას ემორჩილებოდნენ მეთაურებიც და წითელარმიელებიც.

დაუწერა მან დიმკას ათასგვარი ქაღალდი, დაუსვეს ყველა ქაღალდზე ბეჭედი, რომ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ემგზავრათ მას, დედამისს და ტოპს თვით ქალაქ პეტროგრადამდე.

ჟიგანი კი მებრძოლებს შორის ლაღად დადიოდა

და ისეთ სიმღერებს დასძახოდა, რომ ნუღარ იტყვით! კიდეც იცინოდნენ მასზე წითელარმიელები და კიდეც აკვირვებდათ მისი ხმა.

—ჟიგან, შენ ახლა საით?

ჟიგანი ერთ წუთს შეჩერდა, თითქოს მსუბუქმა ჩრდილმა გადაურბინა მის პატარა სახეს, შემდეგ თავი ამაყად გაიქნია:

—მე, ძმაო, ერიპაა! სადგურებზე ეშელონებზე. მე ახლა მათგან ახალი სიმღერა ვისწავლე:

ლაზარეთში ჩაიარა ღამემ,
დღე მზიანი და ნათელი დგებოდა
და იმ კარგი გაზაფხულის დილით
ახალგაზრდა მეთაური კვდებოდა...

კარგი სიმღერაა! ვიმღერე—ვხედავ: მოხუცი გორპინა იცრემლება. „რა გატირებს,—ვეუბნები,—ბებია?“ „ის ხომ კვდებოდა!“— „ეხ ბებია, ეს ხომ სიმღერაშია ასე!“ „მარტო სიმღერა, რომ იყოსო! სინამდვილეშიც რამდენი კვდებაო“— ამბობს. აი ეშელონებზე მხოლოდ—დაუმატა მან ცოტა ბორძიკით,—ზოგიერთი ამხანაგები არ მენდობიან, „მოსწყდიო—მეუბნებიან—შეიძლება შენ მაწანწალა, ან თაღლითი ხარ, მოიპარავ რასმეო“. აი მეც რომ ქაღალდს მომცემდნენ!

—მოდით მართლაც დავუწეროთ მას, — წინადადება წამოაყენა ვიღაცამ.

—დავუწეროთ, დავუწეროთ!

და დაუწერეს მას, რომ „არის ის, ჟიგანი, არა მაწანწალა და თაღლითი, არამედ პიროვნება, რომელმაც საქმით დაამტკიცა თავისი რევოლუციონერობა“ და ამიტომ აღმოუჩინონ მას, ჟიგანს, დახმარება საბჭოთა სიმღერების შესრულებაში ყველა სადგურზე, მატარებლებზე და ეშელონებზე“.

და ბევრმა ბავშვმა მოაწერა ხელი იმ ქაღალდს—მთელ ნახევარ ფურცელზე და კიდევ მეორე გვერდზე. ჩოფურა პანტიუშკინმაც, იმან, რომელმაც მხოლოდ გასულ კვირას ისწავლა წერა, ასო-ასოდ დახაზა თავისი გვარი.

შემდეგ მიუტანეს კომისარს, რომ ბეჭედი დაერტყა. წაიკითხა კომისარმა.

—არ შეიძლებაო, — თქვა, — ასეთ ქაღალდზე პოლკის ბეჭდის დასმა.

—როგორ არ შეიძლება? რა, ამისგან ძალას დაკარგავს თუ? დაუსვით თუ შეიძლება. ტყუილ-უბრალოდ ხომ არ ეცადა ყმაწვილი?!

გაიღიმა კომისარმა:

—ეს ეგაა სერგეევის საქმეში?

— სწორედ ეს.

— მაშ როგორც გამონაკლისი... — და ქაღალდზე დაბეჭდა. მასზე უმალვე გაჩნდა რ. ს. ფ. ს. რ. და ჩაქუჩ-ნამგალი. — საბუთი მზადაა.

და ისეთი იყო ეს საღამო, როგორიც სოფლელებს დიდი ხანია აღარ ახსოვთ. რაღა სალაპარაკოა, რომ ვარსკვლავები აგურით გახეხილებივით ბრწყინავდნენ, ხოლო ქარმა დამჭკნარი უგრეხელის სურნელით გაჟღინთა ყველაფერი. ქუჩებში კი რა ამბავი იყო! ყველანი გამოვიდნენ ეზოებიდან. წითელარმიელები გამომწვევად იცინოდნენ, ქალიშვილები ხმამაღლა წიოდნენ. ხოლო მკურნალის თანაშემწე პრიდოროჟნი გარშემოხვეული ჯგუფის წინ სამიტინგო მორებზე დამჯდარიყო და გარმონზე უკრავდა.

ნელნელა ღამდებოდა; კოცონებად აენთნენ მიმოფანტული სახლები. წავიდნენ მოხუცები, ბავშვები, მაგრამ მთვარით განათებულ ქუჩებში კიდევ დიდხანს იცინოდა ახალგაზრდობა. და კიდევ დიდხანს უკრავდა ოსტატურად მკურნალის თანაშემწის გარმონი, და ეტოქებოდნენ მას სხვადასხვა ხმაზე სტვენით ბულბულები მახლობელი გრილი ქალიდან.

მეორე დღეს მიდიოდა უცნობი.

ჟიგანმა და დიმკამ იგი საძოვრებამდე გააცილეს. დაფერდებული ბაკის მახლობლად შედგა, მასთან ერთად შედგა მთელი რაზმი, და მთელი ჯარისკაცების წინაშე მან მაგრად ჩამოართვა ხელი ორივე ბავშვს.

—შესაძლებელია, როდისმე პეტროგრადში განახო,

—წარმოთქვა მან და დიმკას მიუბრუნდა.—შენ კი...

—და ის ცოტა შეყოვნდა.

—შეიძლება, სადმე,—ყოყმანით მიუგო ჟიგანმა.

ქარი ოდნავ ათამაშებდა თმას მის აწეწილ თავზე, გამხდარი ხელები მაგრად ჩაეჭიდა კადონისთვის, დიდი ღრმა თვალები კი შორს, წინ იყურებოდნენ.

გზაზე ოდნავ შესამჩნევი წერტილსავითღა მოჩანდა რაზმი. აი, ის ნიკოლსკის ხევთან, უკანასკნელ გორაკზე ავარდა... თვალს მიეფარა. ჩადგა ბორცვის თხემზე ცხენების ფლოქვებისაგან ამდგარი მტვრის კორიანტელი. გამოჩნდა უგრეხელის ყანა და მასზე აღარავინ იყო.

თარგმნა ბ. შელიამ



მხატვარი პ. გიგოლაშვილი

დავით გაჩეჩილაძე

# ჰუმბერტ ისიდორი

ბალადა

☆

ჰუმბერტ ისიდორი, 12 წლის ფრანგი ბიჭი, 1942 წელს დახვრიტეს გერმანელმა ფაშისტებმა. ეს ბავშვი თავის წერილში მოხსენებული ჰყავს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, ფრანტირერთა და პარტიზანთა გაერთიანებული რაზმების მეთაურს ანდრე რებიერს, რომელიც გააოცა მისმა ვაჟკაცობამ. ჰუმბერტ ისიდორს სიკვდილის წინ თურმე თავი ღირსეულად ეჭირა. „მე ვნახე, როგორ წაიყვანეს 12 წლის ჰუმბერტ ისიდორი. რა სიმტკიცე, როგორი რწმენა იდეალისადმი!"—აღტაცებით წერს ანდრე რებიერი.

☆

აი, თითქოს თვალწინ არი...
მიჰყავთ ბიჭი დასასჯელად,
ნაწამები, უძილარი,
უქამრო და ფეხშიშველა.

წინ პეპელა შეეყარა
და უქცია წამსვე მხარი.
რა კარგია ეს ქვეყანა!
როგორ ჰყავის მთა და ბარი!

მღერის ჩიტი რაც ძალი აქვს,
ხმაზე იცნო წითელგულა.
ჰე, ჩიტისთვის სად სცალია,
უნდა მოკვდეს ვაჟკაცურად.

თუმცა იყო ჯერ პატარა,
დიდი გმირის სული ედგა,
მტერს აქ ხიდი აუყარა,
იქ რკინიგზა აუფეთქა.

ახლა ბიჭი ქალაქგარეთ
მიჰყავთ მკვლელებს დასახვრეტად.
მდინარის წყალს მოელვარეს
ცალი თვალით გადახედა.

აქეთ ღობე, იქით ღობე,
წყალთან სოფლის ნახირია...
ბიჭუნები ჩქაფუნობენ.
მღერიან და გაჰყვირიან.

ჰა, დედასა, რა წყალია,
ხელს გაჰკრავს და გადაცურავს...
მაგრამ დღეს რომ არ სცალია?
უნდა მოკვდეს ვაჟკაცურად.

* * *

საზრუნავი ის აქვს ერთი—
არ დაეტყოს დარდი სახეს:
«დე ცოცხლობდეს საფრანგეთი!»
მთელ ქვეყანას გადასძახებს.

თავახრილი გადასძახებს,
როცა თოფი გავარდება,
მაგრამ გული რად ცახცახებს,
საბუდარში აღარ დგება.

ეს რა არის? განა გული
მართლა შიშმა გაარხია?
ვინც გმირია დიდებული,
ის სიკვდილშიც ამაყია...

ჰო, სიდინჯე უჯობს ახლა,
მხოლოდ ერთზე გული წყდება,
რომ საფლავში ჩადის ბალღად
და ვერასდროს გაიზრდება.

ბიჭი ბედზე გამწყრალია...
შუბლზე ოფლი მოიწურა...
ეხ, გაზრდისთვის სად სცალია,
უნდა მოკვდეს ვაჟკაცურად.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

* * *

უსახლკარო ბავშვი არი,
ქუჩამ ზარდა პაწაწინა;
ის ცისქვეშაც სახლში არი,
რადგან არ აქვს არსად ბინა.

სხვა ექნება ახლა სახლი,
იქ, მიწისქვეშ დაიძინებს.
დაიკვნესა ბავშვმა ნაღვლით
და ჩაჰკიდა თავი მძიმედ...

მაგრამ შედგა... რა მხდალია!—
მღელვარებით დაქანცულა...
ჰე, ცრემლისთვის სად სცალია!
უნდა მოკვდეს ვაჟკაცურად.

* * *

მინდორშია მწვანე მუხა,
მკვლელთა რაზმი მწყობრში დგება.
ხისქვეშ თოფმა დაიქუხა,
ბიჭი მოჰკლეს ჯალათებმა.

მაგრამ ჰუმბერტს ვიდრე სისხლმა
შეუღება წითლად მკერდი,
უცებ ცაში ხმა გაისმა:
— დე ცოცხლობდეს საფრანგეთი!*

ეს სათქმელი ერთადერთი
განა ბავშვმა დაივიწყა?!
დე ცოცხლობდეს საფრანგეთი,
კომუნართა წმინდა მიწა!

* ამ სიტყვებს წარმოთქვამდნენ დახვრეტის წინ ფრანგი კომუნარები.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეო ქიაჩელი

მხატვარი ზ. ლეჟავა

# ზეიმის დღეს*

ჩვეულებრივი კვირა დღე ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა სოფელ მაშენში. საზეიმო განწყობილება ჯერ კიდევ გუშინ, შაბათს მოსულმა გაზეთმა „კომუნისტმა“ შექმნა, რომლის პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო სოციალისტური შრომის გმირის იასონ თაბაძის ფოტოგრაფიული სურათი. იგი უფრო გააძლიერა დილით მიღებულმა სარაიონო გაზეთის „ჩვენი შრომის“ კვირის ნომერმა.

„ჩვენი შრომის“ თითქმის მთელი სამი გვერდი ეჭირა წერილებს და სურათებს, რომლებიც რედაქციას საერთოდ კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრებისადმი“ და კერძოდ თაბაძის გამარჯვებული რგოლისათვის მიეძღვნა. როგორც მოსალოდნელი იყო, მაშენელებზე უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა გაზეთში უხვად მოთავსებულმა ფოტოგრაფიულმა სურათებმა.

ყურადღებას უმთავრესად იპყრობდა რგოლის წევრების საერთო სურათი, რომელიც პირველ გვერდზე დაებეჭდათ თითოეული წევრის სახელის და გვარის წარწერით მარცხნიდან მარჯვნივ, როგორც წესია. ჯგუფის შუაში მდგარი მერგოლეურ იასონის სახელი და გვარი მსხვილი ასოებით იყო აწყობილი. უფრო მორჩილით, მაგრამ დანარჩენებისაგან განსხვავებულით დაებეჭდათ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული თადეოზისა და საპატიო ნიშნის ორდენმიკუთვნებული ზოსიმეს სახელი და გვარი.

გაზეთის მეორე გვერდზე შუაში ერთად გადაღებული დათოს, რეზოს და თენგიზის სურათი ეხატა სათანადო განმარტების დართვით. მის ქვემოთ უმცროსი პიონერების, ოქტომბრელების და სხვა ბავშვების კარგა მრავალრიცხოვანი ჯგუფი იყო მოთავსებული. ამის გვერდით ერთი მეორეს მიყოლებული მერცხალას და დათუჩას ჩარჩოსნაირ წრეში ჩამჯდარ სურათს ჰქონდა ადგილი დათმობილი, მათთვის მეტად საყურადღებო წარწერა მოეგონებინა ამხანაგ იულონს. წარწერა მაშენის კოლმეურნეობის ახალი, საამური ყოფის თავისებური, მაგრამ საგულისხმო მაჩვენებლების როლს აკუთვნებდა მერცხალას და დათუჩას.

გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელიც ამ სურათებმა გამოიწვიეს მაშენელებში, როგორც დიდებში, ისე პატარებში. მიუხედავად იმისა, რომ სოფელში ოჯახი არ იყო დარჩენილი, რომელსაც გაზეთი შინ არ მოსდიოდა, მაინც მიღებული რაოდენობა დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა: გაზეთი ერთი იყო, ხოლო თითოეულ ოჯახში მრავალი იყო

---

* თავი მოთხრობიდან „დაგვიანებული საგზალი“.

იმისი მსურველი, რომ გაზეთი საკუთრად ჰქონოდა.

ჯერ კიდევ გუშინ, „კომუნისტის“ მოსვლისთანავე, სოფლის საბჭოს და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ აუცილებლად სცნო გამარჯვებული რგოლის პატივსაცემად კვირას მიტინგი გაემართა. მაშინვე შეუდგნენ თადარიგს. იხმეს კომკავშირელები და უფროსი პიონერები. შეადგინეს პროგრამა. გარდა საზეიმო სიტყვებისა და მილოცვებისა გათვალისწინებული იყო დაჯილდოებულთა გამოსვლაც. მიტინგი უნდა დასრულებულიყო რვაწლედის მოწაფეთა გუნდის სიმღერებით და აგრეთვე ლექსებით, რომლებიც მოწაფეებს უნდა წარმოეთქვათ. ამასთანავე ნავარაუდევი იყო დიდი სახალხო ფერხული სკოლის გუნდის მონაწილეობით.

შესაფერისი აფიშის შედგენა და მისი მხატვრული გაფორმება დათოს, რეზოს და თენგიზს დაევალა, რომლებსაც ასეთი საქმის საკმაო გამოცდილება ჰქონდათ ბრიგადების კედლის გაზეთის გამოშვების პრაქტიკის წყალობით.

კვირას ნაშუადღევიდან ხალხმა ნელ-ნელა დაიწყო დენა კოლმეურნეობის გამგეობის ეზოსკენ. ამ ეზოს წინ კლუბის შენობის პირდაპირ მინდორი იყო, რომელზედაც ფართოდ ტოტებგაშლილი კაკლის ხე იდგა. ჩვეულებრივად, კვირაობით ამ მინდორზე ბურთის თამაში იმართებოდა, ხოლო კაკლის ხის ძირში—ცეკვა ეწყობოდა. მაშენელები—ქალი, კაცი, დიდი და პატარა—ყოველ კვირას თავს იყრიდნენ აქ, დაღამებამდე ერთობოდნენ, ვიდრე კლუბში წარმოდგენა ან კინოსურათის ჩვენება არ დაიწყებოდა.

გამგეობის ეზოს დიდ ჭიშკარზე დათოს და მის მეგობრებს დილიდანვე გაეკრათ ერთიმეორეზე მიწებებული, ოთხ გაშლილ საწერ ქაღალდზე დაწერილი და ფერადებით მოხატული აფიშა, რომელზედაც აღნიშნული იყვნენ მიტინგისა და მისი სამხატვრო განყოფილების მონაწილენი. აფიშის გვერდით გამოფენილი იყო, როგორც „კომუნისტი“, ისე სარაიონო გაზეთიც სურათებითურთ.

თუმცა ყველა კოლმეურნეს წაკითხული და დათვალიერებული ჰქონდა გაზეთები, მაგრამ მათ წინ მაინც მოქუჩებულიყო ხალხი და ისევ ინტერესით კითხულობდა.

— ამ ჩვენს ზოსიმეს არ უყურებთ!—ამბობდნენ ზოსიმეს ხნის კოლმეურნეები და მის სურათს თითს ადებდნენ.—წინათ ამბობდნენ, ჩამორჩებაო, და ახლა ნეტავი რა ძალა შეემატა, რომ ორდენიც კი მიუღია!

— აბა, ძალიან მოუნდომებია!

— იასონი რას არ გააკეთებს, თუ მოინდომა. ნამუსში ჩაუგდია, არ მიღალატო, ორდენზე მყავხარ წარდგენილიო!

დათო, რეზო და თენგიზი უთენია ფეხზე დამდგარიყვნენ. მათ ისე წარმოედგინათ, რომ მათ გარეშე არაფერი გაკეთდებოდა. გარბოდნენ და გამორბოდნენ. იქ გუნდის მზადყოფნას ამოწმებდნენ; აქ ლექსების წამკითხველებად დანიშნულ ბავშვებს კონტროლს უწევდნენ. უფროსებსაც არ ასვენებდნენ: სიაში ხარ, სიტყვა უნდა თქვაო, მოაგონებდნენ.

სოციალისტური შრომის გმირის მერგოლურ იასონ თაბაძის სახლში ამავე დროს დიდი სამზადისი მიმდინარეობდა. გამარჯვებული რგოლის წევრებს გადაეწყვიტათ გამასპინძლებოდნენ მაშენის სოფლის საბჭოსა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს. მათთან ერთად მოეწვიათ „ახალი ცხოვრების“ სახელოვანი შრომის გმირები, ჩაის განთქმული ოსტატები და გამოცდილებითა და ჭკუით ცნობილი სოფლის სხვა თავკაცები. წვეულება იასონის სახლში იყო დანიშნული.

მამაკაცებს დილიდანვე დაეკლათ გოჭები, ინდოურები, ქათმები, და ახლა ქალები შესდგომოდნენ სადილის მზადებას. იასონის ოჯახის წევრების—რუსუდანის, მაიას და დარიას გარდა ხელებწაკაპიწებული მუშაობდნენ რგოლის სხვა წევრი ქალები.

დათუჩასათვის დღეს არავის ეცალა. ათასი საქმით აფორიაქებულ დათოს დავიწყებოდა მისი დაბმა. დათუჩაც, თავისუფლებით კმაყოფილი, დადიოდა თავისთვის. ადამიანების შეხვედრას თავს არიდებდა, არ დამაბანო. არც მერცხალასთან რბენა და თამაში ეხალისებოდა დღეს. ამ ბოლო დროს განმარტოებისაკენ მიდრეკილება ისედაც ეტყობოდა დათუჩას. ხშირად მოიწყენდა ხოლმე უმიზეზოდ. უცნაურად გატვრინული დაწვებოდა სადმე უჩინრად და წინა თათებზე დინგით დაყრდნობილი უცნაურად აფახულებდა თავის წვრილ თვალებს.



თუმცა ყოველ კოლმეურნეს წაკითხული ჰქონდა გაზეთები, მაგრამ მათ წინ მაინც მოქუჩებულიყო ხალხი და ისევ ინტერესით კითხულობდა.

ახლაც ეზოს უკანა კუთხეში შეერჩია მყუდრო, ცაცხვის ხეს მიფარებული ადგილი, ჩირგვით მოფენილ ღელეზე გადამცქერალი. ცაცხვის ტოტები იასონის პატარა შინაურ საფუტკრეს გადაწვდენოდა, რომელიც ეზოს უკანა კუთხის სიღრმეში იყო შემალული და წნელის ღობით შემოზღუდული.

ხის ძირში უკანა თათებზე წამომჯდარი დათუჩა ვითომ ფიქრს მისცემოდა. მის წინ შორს ბაღებით და ჩაით მორთული გორაკები მოჩანდა. მათ იქით, უფრო შორს, მაღალი მთების ძირში მიმოფანტული, საიდუმლოებით მოცული ტყეების ქარგა დაინახებოდა. შემოდგომის ნაირი ფერებით მოლივლივე. ცასთან შეერთებული ლურჯი სივრცე საამო და მომჯადოებელ ზმანებას ჰგავდა.

ვითომ ხედავდა კი მათ თავისი წვრილი თვალებით დათუჩა, რომ სულგანაბული მისჩერებოდა? ვინ იცის, რა ფიქრები უტრიალებდნენ პატარა თავში? დროგამოშვებით თვალებს ისე ჭუტავდა, თითქოს თავისი ფარული ფიქრების გამორკვევას ცდილობს, თითქოს დიდი ხნის დავიწყებული, შორეული, მაგრამ მაინც ტკბილი და მომხიბლავი რაღაცა აგონდება. მაგრამ ვერ მოეგონებინა და მით უფრო იხიბლებოდა თავისი გამოურკვეველი ზმანებით.

ერთმა ფუტკარმა ანაზდად ბზუილით თვალწინ ჩაუქროლა დათუჩას. უცებ მოტრიალდა და მის თათთან ახლოს მინდვრის ყვავილს დააჯდა. დათუჩამ შორეულ სივრცეს თვალი მოსწყვიტა და ფუტკარს დააცქერდა. მერე თათი აიღო და ზედ დაადო. რა იგრძნო ფეხის გულის კანზე ხიჩინი, წამოიწია და წინა ტანით თათს დააწვა. შეწყდა ხიჩინი. დათუჩამ ახლა თათი აიღო. დახედა: ფუტკარი ოდნავ მოძრაობდა. დათუჩა წამოდგა და დასუნა. მერე დინგი მაღლა აიღო და იქაურობა კარგად მოყნოსა. უმალვე საფუტკრისაკენ გაიხედა უცნაურად. ფუტკარს თავი ანება და პარვით მიუახლოვდა ღობეს. აქ რამდენიმე ფუტკარი ერთბაშად ეცა ცხვირპირში; დათუჩამ ყურადღება არ მიაქცია. ღობეს ჩაუარა. საფუტკრის პატარა წნელის კარი გამოღებული ნახა, დინგი ჰკრა და ფართოდ გააღო. საფუტკრეში შევიდა.

შესვლისთანავე დათუჩას გუშაგი ფუტკრები დაესივნენ. წვრილად ნაქსოვ ბადესავით გარსშემოეკრნენ. სადაც შიშველი ადგილი უნახეს, დაუკბინეს; თვალებში, ნესტოებში შეუძვრნენ. მაგრამ თაფლის სუნით დამთვრალი დათუჩა პირველსავე სკას ეძგერა და წამოაყირავა. ხუფმოვარდნილ როგოში დინგი შეჰყო და თაფლს თქვლეფა დაუწყო.

ამ დროს მაია ფიჩხისთვის სამზადიდან გამოსულიყო. საშინელი რისხვის გამომხატველმა ბზუილმა სმენა მოსტაცა. როცა საფუტკრისაკენ გაიხედა, გაშეშდა: აჯანყებული ფუტკრის ჯარი შავი ღრუბელივით

ირეოდა საფუტკრის თავზე. მის სიმრავლეს სულ ერთიანად დაებნელებინა იქაურობა.

ფიჩხს თავი მიანება მაიამ და საფუტკრესთან მიიჭრა.

— ჯაჭვი! ჯაჭვი! დათუჩას საფუტკრე დაუქცევია!—იკივლა რაც ძალა შესწევდა სახლისაკენ მიბრუნებულმა.

— საფუტკრე დაუქცევიაო!—ძლივს წარმოსთქვა რძლის სიტყვების გაგონებაზე ზარდაცემულმა ბებია რუსუდანმა. ჯაჭვის მაგიერ შინდის კეტს წაატანა ხელი და გარეთ გამოვარდა. უკან გამოუდგა დარიაც.

— ჯაჭვი ჩქარა! — ყვიროდა მაია. დარია ისევ სახლში შებრუნდა. ეძია ჯაჭვი, მაგრამ ვერ ნახა. ოდისკენ გაიჭრა.

ამასობაში ბებია რუსუდანს თავსაკრავი სახეზე შემოეკრა, წაკაპიწებული სახელოები დაეგრძელებინა, ხელებზე გადაეფარებინა.— საფუტკრეში შეჭრილი, იგი მთელი თავისი ძალღონით დათუჩას თავში კეტს უშენდა. გაბრაზებული ვერც კი აჩნევდა იმას, რომ ამ დროს დათუჩას მთელ ტანზე დახვეულ ფუტკარს ხოცავდა.

— ჯაჭვი, დარია შე ქალო! დათოს ოთახში იქნება! დათოს ოთახში! — წრიალებდა მაია.

დარიამ ჯაჭვი მოარბენინა.

— იქნება, როგორმე გააგებინო დათოს, შენი ჭირიმე დარია... გადასძახე... გამგეობაში სადმე იქნება.—უთხრა დარიას მაიამ, ჯაჭვი გამოართვა და თავათ საფუტკრეში შევარდა. რუსუდანი შეაჩერა და დიდის გაჭირვებით თაფლში ამოთხუპნულ და ცემისაგან გასისხლიანებულ დათუჩას ჯაჭვი კისერზე შეაბა.

მაიამ და რუსუდანმა დათუჩა, როგორც იქნა, გარეთ გამოათრიეს და მოშორებით მაგარ მესერზე მიაბეს. თავათ კი აქეთ-იქით გაიქცნენ, რომ ისედაც დაკბენილები უარესად არ დაეკბინათ გაბრაზებულ ფუტკრებს, რომლებიც დათუჩას გამოყოლოდნენ.

დათუჩა თავის თავს არ ჰგავდა. თვალები არ უჩანდა, ისე დასივებოდა. ცხვირპირიდან სისხლი მოსდიოდა. თავდამხობილი იწვა უძრავად და ადამიანივით კვნესოდა. ფუტკრები მას აქაც თავს არ ანებებდნენ.

— რამდენჯერ მითქვამს, ეს ეშმაკის კერძი შინ ნუ გყავთ მეთქი! არ იქნა, არავინ დამიჯერა! თაფლით მედგა სული ამ სიბერეში... — ბუზღუნებდა რუსუდანი. — კიდევ თუ ცოცხალია ეს არასახსენებელი... როდისმე იქნება, უარესს ჩაიდენს, აი, რას ვჩივი!

— რა ვქნა, დღეს სტუმრებში როგორ გამოვჩნდე ასე დაკბენილი და პირისახე დაბერილი!—წუხდა მაია.

დანარჩენ ქალებსაც შეეწყვიტათ მუშაობა, სამზადიდან გამოსულიყვნენ და „დედაია, დედაიას" ძახილით გარს უტრიალებდნენ რუსუდანს და მაიას. ტანზე შერჩენილ ფუტკრებს აშორებდნენ.

მოვარდა ბოლოს დათო. თან თენგიზი და რეზო მოჰყვნენ.

— მომიკალით, დედა, ჩემი დათუჩა!! — შეიცხადა დათომ, როგორც კი გასისხლიანებულ დათუჩას დახედა, რომელიც ისევ კვნესოდა და შესაბრალისად წკმუტუნებდა.

დათოს ხმა ქვასაც კი ცრემლს გამოადენდა. მან რუსუდანსაც გული დაუთუთქა. ცრემლი ვერ შეიკავა, ატიოებული შევარდა სახლში და დაიმალა, რომ მოწმე არ ყოფილიყო საყვარელი შვილიშვილის წუხილის.

— დავტოვოთ ვითომ მიტინგი, ამხანაგებო? ღელე არც ისე ახლოა! — მიმართა დათომ ამხანაგებს.

— სანამ სიტყვები დამთავრდება, მოვბრუნდებით, მგონია!—ამბობდა რეზო.

— მაინც რა დროს გვიღალატა ამ საძაგელმა! ტყუილად ვასწავლეთ საფერხულო ცეკვა!—ნანობდა თენგიზი.

— ფერხულს კიდევ მივუსწრებთ! მოჰკიდეთ აქეთ-იქით ხელი. რაღას ვუცდით? რა ასე შორს არის ღელე?—აენთო რეზო და პირველმა წაავლო ხელი დათუჩას.

— კი, მაგრამ დათუჩას ორიც ეყოფით.— თქვა მაიამ. — თენგიზ, ივარგე ერთი, გაიქეცი და ზოსიმეს უხმე, მოვიდეს ცოტა ხნით. სკა აღსადგენია, თორემ ფუტკარი არ დამშვიდდება და შეიძლება, აიყაროს კიდევაც აქედან... ზოსიმეა მაგის ოსტატი. ჩვენ კი საქმეს ვერ მოვცილდებით! წვეულებს უსადილოდ ხომ ვერ დავტოვებთ! ზოსიმეს უთხარი, შემოირბინოს!

— წავიდე, დათო?—ჰკითხა თენგიზმა დათოს.

— შენ კი არა, დათო წავიდეს!—თქვა რეზომ,— ზოსიმესაც აქეთ გამოგზავნის და სამხატვრო ნაწილსაც მიხედავს, თორემ დათოს რომ დააგვიანდეს, ბავშვები აირევიან და გუნდის ხელმძღვანელმა, შეიძლება, ყველა-



დათუჩა მაიამ და რუსუდანმა როგორც იქნა გარეთ გამოათრიეს.

ფერს თავი ვერ გაართვას... დათუჩა კი ჩვენ ჩავიყვანოთ ღელეზე და დავბანოთ!

— მაშ, შენი აზრით, რეზო, დათუჩა დღეს ფერხულში ვერ იცეკვებს?—ჰკითხა რეზოს დათომ ნაღვლიანი ხმით.

— მე ვამბობ, დათო, თუ დაგვაგვიანდა მეთქი! სისხლიანს და თაფლში ამოთხუპნულს, ხომ ვერ ვუჩვენებთ ხალხს! ხედავ, რას ჰგავს? დაბანვით, იქნება, არც მორჩეს ასე უცებ!

— არა, ისევ თენგიზი წავიდეს! მე ამ ყოფაში ვერ დავტოვებ დათუჩას! თუ მოვასწარით, ხომ კარგი, თუ არა, ჩვენს მაგიერ თენგიზი მოეხმარება ამხანაგებს! აბა ნუღარ ვაყოვნებთ!—თქვა დათომ და რეზოს შეეშველა დათუჩას ხელზე აყვანაში.

* * *

დათო და რეზო კარგა ხანს შერჩნენ დათუჩას ჯერ ღელეზე, მერე შინ, სანამ მოასულიერებდნენ. როცა ისინი გამგეობის ეზოში გამოცხადდნენ, მიტინგი უკვე გათავებულიყო, ბავშვებსაც მოესწროთ ლექსების წარმოთქმა, ხოლო გუნდს სასიმღერო პროგრამის შესრულება.

თენგიზმა ცოტა გვიან შენიშნა მეგობრების დაბრუნება. მაშინვე მივარდა დათოს და აუწყა, რომ ყველაფერი რიგზე იყო და არავის არაფერი შეშლილიყო. ამასთანავე ახარა:

— ეს-ეს არის ამხანაგი იულონი მანქანით ჩამოვიდა რაიონიდან სამი ამხანაგის თანხლებით... მაშინვე ფერხულში ჩაებნენ... ეგერ დგას მათი მანქანა, თავათ კი, შეხედეთ, როგორ ცეკვავენო,—გაახედა ფერხულისკენ ამხანაგები.

დათოსა და რეზოს მოსვლა იმ დროს დაემთხვა, როცა გუნდი გამგეობის ეზოდან მინდორზე გამოსულიყო და, კაკლის ძირში ფართო წრედ გაშლილს, საფერხულო ცეკვა და სიმღერა გაეჩაღებინა. დათო, რეზო და თენგიზი იქითკენ გაეშურნენ.

— აქეთ, მეგობრებო! დათო, შენი დათუჩა სად არის, რომ ვერ ვხედავ?.. აი, ეს ამხანაგები მის სანახავადაც ჩამოვიდნენ... ცოტა დაგვაგვიანდა მხოლოდ... როგორ მოგეწონათ ჩვენი გაზეთი?—მთელ მინდორზე ისმოდა იულონის ხმა და ყველას ყურადღებას იქცევდა.

ფერხულის ერთ თავში ბავშვების გუნდი ამბობდა სიმღერას, მას ენაცვლებოდნენ წრის მეორე თავში ჩამდგარი მკლავებ-გადაჭდობილი კოლმეურნეები, რომელთა შორის იულონი და მისი ამხანაგები იდგნენ, ამ მხარეს საფერხულო სიმღერის მოძახილს ზოსიმე ამბობდა, რომლის გამყივანი და ბედნიერი ხმა მთელ სოფელს გადაწვდომოდა. თადეოზის განთქმული, ლაღი ბანისთვის იულონსაც აეყოლებინა გაუბედავი და დაბალი ხმა, რომელიც არც ბანი იყო და არც დვრინი.

დათომ და მისმა მეგობრებმა კოლმეურნეებსა და გუნდს შორის აირჩიეს ადგილი. ჩადგნენ წრეში თუ არა მაშინვე შეუწყეს ფეხი მეზობლებს. რეზო და თენგიზი ორსავე მხარეს შველოდა სიმღერაში. დათო კი დათუჩას გამო მოწყენილი იყო და სიმღერისაგან თავს იკავებდა.

„რაღა დღეს დააშავა მაინცდამაინც დათუჩამ!“—ნაღვლობდა იგი და გული ჭირში მყოფ მეგობრისკენ მიუწევდა. უხალისოდ იდგა საფერხულო წრეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ახალგაზრდა პოეტები

## სტალინგრადელი

მუდამ სიმართლის იმედი გვქონდა,
— აი, ცოტაც და მტერსაც გავდენით!
დიდი ბრძოლების გრიგალი ჰქროდა,
ყველა ვიყავით სტალინგრადელი.

სტალინგრადელი... ეს სიტყვა მაშინ
იყო გმირობის შემცველი სიტყვა,
ის მოგვესმოდა ქვემეხთა ხმაში
და ის ბერლინთან ამაყად ითქვა.

და გავიმარჯვეთ... სტალინის ქალაქს,
როგორც ცოცხალ გმირს ვესაუბრებით,
და კომუნიზმის შუქურებს გვანან
ვოლგაზე დიდი ელსადგურები.

ჩვენ შევხაროდით სიცოცხლის გაშლას,
ჩვენ შორის იყო გმირი რამდენი,
მაშინაც, როცა ვაგებდით კაშხალს,
ყველა ვიყავით სტალინგრადელი.

თამაზ ჭილაძე

## ქართული ავტო სოფლად

სიმღერით შეხვდნენ კოლმეურნენი,
პიონერებმაც შემოაცილეს,
მან დაამსგავსა სოფლის ურმები
ძველი თეატრის დეკორაციებს.

მოდის, ახარებს ყველა ჩვენიანს,
აცოცხლებს სოფლის გზას და შესახვევს,
ბიჭებს ურმებზე ჯდომა რცხვენიათ
და მიუძღვიან ხარებს ფეხდაფეხ.

მოდის, აკვირვებს მკვირცხლი შოფერი
გზიდან გადამდგარ მოხუც ცხენოსანს,
და გულით ლოცავს მთელი სოფელი
მთებში ქართული ავტოს შემოსვლას.

ვახტანგ ჯავახაძე

## ვაშლის ხე

კრასნოდონში, ელენე კოშევაიას ფანჯრის წინ
ოლეგის დარგული ვაშლის ხე ჰყვავის.

სარკმლის მინას დასთამაშებს ტოტი,
არხევს სიო მთიდან მონაქროლი;
კრასნოდონში გაზაფხული მოდის,
სიმღერით და ყვავილების თოვლით.

ახსოვს დედას: პაწაწინა ნერგი
აქ ოლეგმა დარგო ფანჯრის წინა;
რა სიამით აუთრთოლდა მკერდი,
როცა ხეზე კვირტმა გაიბრწყინა.

ახლა სარკმელს დასთამაშებს ტოტი,
ზედ ზეიმი გაუმართავთ ჩიტებს;
კრასნოდონში გაზაფხული მოდის,
ენძელებმა ველი გადაჩითეს.

დგას ვაშლის ხე შელერილი მზისკენ,
სითბოს ჰმატებს მშობლიური მიწა;
ქალ-ვაჟების ტკბილ სიმღერას ისმენს
და მშვიდობის თეთრ ყვავილებს ისხამს.

ოთარ შალამბერიძე

## მამული

ამწვანებულა ხე და
ამწვანებულა ველი,
შველი ეძახის დედას
მოღერებული ყელით.
შარშანდელ ირემს რქებზე
მომატებია ტოტი,
ცამდე აზიდულ მთებზე,
ჟუჟუნა წვიმა მოდის.
ამწვანებულა ხე და
ცა სიხარულით ტირის,
ლორთქო ჯეჯილებს ვხედავ,
მოსავალს უჩანს პირი.

თეთრი ალვების ჩერო
კაცივით მისდევს ბილიკს.
— გმადლობ, მამულო ჩემო
დილა რომ იცი ტკბილი.
მთა-ველი ფერებს ირევს,
მიწას უყვავის მკერდი,
შველი გასძახის ირემს —
ირემს გასძახის მტრედი
და მეც გავძახი მამულს:
ტკბილია შენი ხვედრი.

ჯანსუღ ჩარკვიანი

# ოქუმელი პიონერები

არა მარტო საქართველოში, მთელ საბჭოთა კავშირშია ცნობილი ლენინის სახელობის ოქუმის მილიონერი კოლმეურნეობა; იგი განთქმულია ჩაის, ტუნგოს, სიმინდის და ციტრუსოვანთა უხვი მოსავლით. ოქუმის კოლმეურნეობაში აღიზარდნენ და საქვეყნოდ ცნობილი გახდნენ საკოლმეურნეო შრომის ოსტატები. უფროსების პატიოსანი შრომის მაგალითზე ოქუმში იზრდება ახალი, პიონერული თაობა.

როდესაც აფხაზეთის ამ ერთერთ ულამაზეს კოლმეურნეობას ათვალიერებთ, ყურადღებას იპყრობს სოფლის განაპირას მწვანეში ჩადგმული ღია-ვარდისფერი ორსართულიანი შენობა. ეს ახალი სკოლაა, რომელიც ამ ორიოდე წლის წინათ აუშენა კოლმეურნეობამ თავის ახალთაობას.

ოქუმის სრული საშუალო სკოლის პიონერრაზმეული მრავალრიცხოვანი პიონერული ორგანიზაციაა; მასში 210 პიონერი ირიცხება. პიონერების უმრავლესობა კარგად სწავლობს, მუშაობს ნორჩ მიჩურინელთა, ნორჩ ტექნიკოსთა, ლიტერატორთა და ხელსაქმის წრეებში. ისინი გატაცებულნი არიან თავიანთი სასკოლო-საცდელი ნაკვეთით, მშობლიურ მხარეში მოგზაურობით; უყვართ სპორტი, მათთვის ღიაა ოქუმის საკოლმეურნეო სტადიონის კარები, სისტემატურად სარგებლობენ დიდი საკოლმეურნეო სასპორტო დარბაზით,—მიმდინარე წელს თავი ისახელეს ნორჩ სპორტსმენთა რაიონულ სპარტაკიადაზე.



ოქუმელმა პიონერებმა თავიანთ პიონერრაზმებს ოლეგ კოშევოის და პავლიკ მოროზოვის სახელი მიაკუთვნეს; აგრეთვე თავიანთ თანამემამულეთა—სტალინური პრემიის ლაურეატის ჩოქოლი ქვაჩახიას და სოციალისტური შრომის გმირის ნათელა ბულისკერიას სახელი. ისინი ხშირად აწყობენ შეხვედრებს შრომის გმირებთან და ეს უკანასკნელნი სიამოვნებით უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

მაგრამ ოქუმელი პიონერები არა მარტო კარგი სწავლით უხდიან ამაგს მშობლიურ კოლმეურნეობას. წელს, მთელი საზაფხულო არდადეგების განმავლობაში ეხმარებოდნენ ისინი კოლმეურნეებს, 20 ათას კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და დიდი წვლილი შეიტანეს ჩაის კრეფის გეგმის შესრულებაში.

ყოველ დილა-საღამოს, მთელი ზაფხულის განმავლობაში დაგრიალებდნენ ოქუმის გამზირზე პიონერებით დატვირთული დიდი საბარგო მანქანები. ისმოდა ყიჟინა და სიმღერა. ოქუმელები ამაყობენ იმით, რომ ეზრდებათ ჯანმრთელი და განათლებული, შრომისადმი პატივისცემით და საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებით აღვსილი ახალთაობა.

**მურმან ლებანიძე**
სოფ. ოქუმი

ფოტო ვ. ჩერკასოვისა



☆

1 სურათზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ნათელა ბულისკერია. მე-2 სურათზე: ოქუმელი პიონერები სტუმრად პლანტაციაში ნათელა ბულისკერიასთან. მე-3 სურათზე: ოქუმის სრული საშუალო სკოლის ახალი შენობა. მე-4 სურათზე: ოქუმელი ნორჩი მიჩურინელები სასკოლო ნაკვეთზე მუშაობის დროს.

☆



☆

მე-5 სურათზე: ოქუმის დაწყებითი სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე, პიონერი ნათელა ბულისკერია, რომელმაც საზაფხულო არდადეგების პერიოდში 1500 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. მე-6 სურათზე: ოქუმის სრული საშ. სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე, ბადროს მტყორცნელი ა. ქარდავა, რომელიც სისტემატურად პირველ ადგილს იკავებს სკოლაში, ვარჯიშობს საკოლმეურნეო სტადიონზე.

☆







იშტვან კარცაგი

მხატვარი ალ. ბანძელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საშკა

☆

იშტვან კარცაგი თანამედროვე უნგრელი მწერალია. კარცაგი ამ მოთხრობაში აღწერს საბჭოთა ჯარების მიერ უნგრეთის განთავისუფლების ერთ-ერთ დამახასიათებელ ეპიზოდს. ეს ის პერიოდია, როცა ეყრებოდა საფუძველი საბჭოთა და უნგრელი ხალხის მტკიცე მეგობრობას.

☆

საერთაშორისო ავიაფოსტით, 1949 წლის ივნისში, ციმბირის ქალაქ ომსკიდან ორი წერილი გაიგზავნა. ერთი მათგანი ტამეშვარის ხის დამამუშავებელი ქარხნის ცხრამეტი წლის მექანიკოსს იშტვან ზაკის მისამართით, ხოლო მეორე—ზუგლიგეტში,* თვრამეტი წლის მექანიკოსის ლაიოშ პერცელის სახელზე.

ამ წერილების გამგზავნი საბჭოთა გვარდიელი ოფიცერი ალექსანდრე გალჩანი იყო. წერილებში ლეიტენანტი გალჩანი იტყობინებოდა, რომ იგი მალე ბუდაპეშტში იქნება დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო კონგრესზე და რომ მას ძველი მეგობრების ნახვა სურს. მაგრამ ვიდრე წერილების შინაარსს გადმოგცემდეთ, ჩვენ გვინდა მოგითხროთ მათი წინა ისტორია.

* * *

საშკა ციმბირელი ბიჭი იყო, რომელიც ზუგლიგეტში მარშალ ტოლბუხინის გვარდიელებს მოჰყვა იმ ზამთარს. ბუდაპეშტის გარეუბნები თითქმის არაფრით განირჩეოდნენ ციმბირისაგან. სხვაობა მხოლოდ იმაში იყო, რომ ბუდაპეშტის ირგვლივ ბრძოლები მიმდინარეობდა, ხოლო ციმბირის გიგანტური ქარხნები იარაღს სჭედდა ევროპის განსათავისუფლებლად.

საშკა «გვარდიული პოლკის შვილობილი» და ერთერთი ოფიცრის გულითადი მეგობარი იყო. უმცროს-უფროსობა ხელს არ უშლიდა ამ მეგობრობაში საველე კომენდანტ პეტროვს, რომელსაც ასე შეეთვისა საშკა.

საშკას გარდა, პეტროვს კიდევ ერთი «ნდობით აღჭურვილი პიროვნება» თარჯიმანი სტეფანე «ერიცხებოდა». საშკა და სტეფანე ტოლები, ორივენი თოთხმეტ-თოთხმეტი წლისანი იყვნენ. საშკა იყო მაღალი, ახოვანი, სახის თხელი ნაკვთებით. სტეფანე—დაბალი და მოუქნელი, ტლანქი, ქარდაკრული სახით.

სტეფანე უნგრელი იყო. თავისი მშობლიური ბანატის** ერთ სოფელში იგი იშტვანად მონათლეს, მაგრამ კარგად იცოდა უკრაინული ენა: დედამისი წარმოშობით იმიერკარპატიდან იყო. ისევე, როგორც ბევრ სხვას, ომმა მასაც წაართვა ოჯახი: მამა და ორი უფროსი ძმა, რომლებიც რუმინეთის არმიაში მსახურობდნენ, უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ. დედა კი—თვალწინ მოუკლეს ბიჭუნას რუმინეთიდან უკან დახეულმა ესესელებმა.

სტეფანე საბჭოთა გვარდიულ დივიზიაში მოხვდა და მასთან ერთად მიაღწია ზუგლიგეტს. იგი ბანატის პატარა სოფელში იპოვა საშკამ, რომელსაც ეს აღმოჩენა კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მაშინ სტეფანე თავის ნებაზე იყო მიშვებული: არც სახლი ჰქონდა და არც ოჯახი; იგი დუნაის ნაპირებზე დახეტიალობდა და ლუკმა პურს ძლივს შოულობდა.. ბიჭმა სადღაც დამბაჩა იშოვა და ხელსაყრელ შემთხვევას ელოდებოდა, რათა მტრებისათვის ანგარიში გაესწორებია დედის სიკვდილის გამო.

პირველი, ვინც მის სამიზნოზე აღმოჩნდა, საშკა გახლდათ.

დივიზიის შეტევის დროს, სხვებთან ერთად, საშკა ყველაზე შეუფერებელ ადგილებში ნახულობდა თავშეფარებულ ფაშისტებს. მას ამოჰყავდა ისინი პიანინოებიდან, საფლავის აკლდამებიდან, თეატრის ბუტაფორიული ყუთებიდან—საშკას ციმბირის კატაზე უფრო მჭრელი თვალები ჰქონდა.

როცა სტეფანემ თივის თავანიდან, სადაც მან საკმაოდ ხელსაყრელი პოზიცია დაიკავა, ფაშისტი გენერლის გალიფეში გამოჭიმული საშკა დაინახა, გადაწყვიტა, რომ დიდი ხნის ნანატრი მომენტი შურისძიებისა უკვე დაუდგა, და მტრად ნაგულვებს სამჯერ ზედიზედ ესროლა.

საბედნიეროდ ახლად გამომცხვარმა პარტიზანმა დააცილა. საშკა იმ წუთშივე წაწვა და ავტომატიდან რამდენიმე ჯერი გაუშვა. თავანიდან სროლითვე უპასუხეს, მაგრამ საშკამ შეამჩნია, რომ მოწინააღმდეგე დაუმიზნებლად ისროდა, რამაც დიდად გააკვირვა. «ეს რა შეშლილი ვინმეა!» გაიფიქრა თავისთვის საშკამ, გამოითვალა რა გასროლები, იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკავალერიო დამბაჩა თავანზე, როგორც საცეცხლე წერტი, უკვე აღარ არსებობდა. მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის სანამ თვითონ გამოჩნდებოდა, გრძელ ჯოხზე წამოცმული ქუდი ასწია. რადგან გასროლა აღარ მოჰყვა, იგი თავანზე აძვრა და მოწინააღმდეგის ძებნას შეუდგა. იმან, რაც იქ ნახა, «გამოცდილი ჯარისკაცი» საშკაც კი გააოცა.

მგლის ლეკვივით კბილებდაკრეჭილი, სულ მთლად გაველურებული ბიჭი იდგა მის წინ.

უსიტყვოდ, თავის ქნევით უბრძანა საშკამ, რომ იგი გასასვლელისაკენ წასულიყო. თვითონ კი ისევ ჩამოიკიდა ავტომატი კისერზე და ლოდინი დაუწყო, შეასრულებდა თუ არა ბიჭუნა მის მუნჯურ ბრძანებას. ტყვე წამოვიდა, მაგრამ გაუსწორდა რა საშკას, კატის სისწრაფით დაეძგერა მას. შებმა ხანმოკლე აღმოჩნდა. საშკა ხელიდან დაუძვრა და ბიჭი ფეხქვეშ ამოიდო.

---

* ზუგლიგეტი—ბუდაპეშტის გარეუბანია.

** ბანატი—სამხრეთ ტრანსილვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშკას გაოცება იმან უფრო გააძლიერა, რომ ძირს გართხმულმა მოწინააღმდეგემ, თვალებში დაუფარავი სიძულვილით, გინება დაუწყო წმინდა უკრაინულ ენაზე.

საშკამ დაიხედა თავის ნადავლ გერმანულ შარვალზე და ყველაფერს მიხვდა. პირველად მას თავისივე თავის შერცხვა, შემდეგ კი მხიარულად გაიცინა და ხელი უშვა ბიჭს.

ბიჭმა «წყეული ფაშისტი», გაღიმებული რომ დაინახა გაოცდა, მაგრამ მეორე წუთში ბავშვურ სახეზე ისეთი გულწრფელი სასოწარკვეთილება გამოეხატა, თითქოს მას ყველაზე საყვარელი სათამაშო დაჰკარგოდეს. უცებ, იგი ხმამაღლა ასლუკუნდა და ცრემლებით აევსო თვალები. მაშინ საშკას არ შეეძლო გაეგო ნამდვილი მიზეზი ამ ცრემლებისა, ვინაიდან არ იცოდა ფარული ოცნება ყმაწვილი პარტიზანისა — გადაეხადა მტრისათვის სამაგიერო დედის სიკვდილისათვის.

— ნუ ღრიალებ! — უთხრა მან, დამარცხებულ მოწინააღმდეგეს, თან ხელი უშვა და წამოდგა. ნუ ღრიალებ, მე შენ გეუბნები! — და გერმანელი გენერლის შარვლის გახდას შეუდგა. — ხედავ, მე გერმანელი არ ვარ! მე რუსი ვარ, საბჭოთა... გაიგე?! რუსი! ციმბირელი!

გაოცებულ ბიჭს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ისევე პირდაღებული დარჩა. საშკა კი შეჰყურებდა მას და თავს აკანტურებდა.



მგლის ლეკვივით კბილებდაკრეჭილი, სულ მთლად გაველურებული ბიჭი იდგა მის წინ.

— ჰო, ერთი მიბრძანეთ, რა გაღრიალებთ? — შეეკითხა, საშკა, როცა ბიჭი ხელმეორედ ატირდა.

— ჰო, შეგიძლია მითხრა?

— შე-შე-მიძლია! დაიღმუილა აცრემლებულმა ბიჭმა, — მერე და, რომ მომერტყა შენთვის?

პასუხი მოეწონა საშკას და სიამოვნებისაგან წამოუსტვინა კიდეც. მან სხვენის კუთხეში შეაგდო გენერლის შარვალი და მკაცრად ჰკითხა:

— რა გქვია?

— იშტვანი, ანუ სტეფანე.

— უკრაინელი ხარ?

— სიმართლე რომ თქვას კაცმა, უნგრელი ვარ.

— ეს როგორ, «სიმართლე რომ თქვას კაცმა».

— დედა უკრაინელი მყავდა, მამა კი უნგრელი იყო,

— მყავდა... იყო... — ნაღვლიანი ხმით წარმოთქვა საშკამ. — ცუდი საქმეა ეს ომი! ჰო! მაგრამ მაინც რატომ თქვი «მართალი რომ თქვას კაცმა, უნგრელი ვარო»?!

— ხომ გითხარი, მამაჩემი უნგრელი იყო მეთქი!

— რომელი უფრო გიყვარდა: დედა თუ მამა?

— ერთნაირად.

— აი, ხედავ! ასე უნდა გეთქვა, რომ შენ უნგრელიცა ხარ და უკრაინელიც.

— ასე როგორ ვთქვა, როცა გვარი უნგრული მაქვს?! როგორი უცნაური ხარ.

— ეს ჯერ კიდევ არ ვიცით, ვინ არის ჩვენში უცნაური. რადგან გვარი უნგრული გაქვს, ეს კიდევ სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ შენ უნგრელი ხარ. ცუდად კი ნუ გამიგებ, — პატივი და დიდება ყველა წესიერ უნგრელს! მაგრამ თუ შენ უნგრელი ხარ, რად იგინები გულისმოსვლის დროს უკრაინულად?! ჩანს უკრაინული ენა უცხო არ არის შენთვის?!

— ვინ იყო მამაშენი?

— მიწის მუშა, გლეხი.

— ვინ იცის, გშია კიდეც? შენ ხომ სთქვი, რომ არც დედა გყავს და არც მამა.

— არა, არც ერთი არა მყავს...

— აი, როგორი საქმეა ომი! ჰოდა, წავიდეთ კომენდანტთან. რაიმეს მოვიფიქრებთ.

აი, როგორ იპოვა საშკამ იშტვანი ანუ სტეფანე. ორი საათის შემდეგ ბიჭები საველე კომენდანტურის უფროსის კაპიტან პეტროვის კაბინეტში იდგნენ. კომენდანტმა ცოტა არ იყოს სკეპტიკურად შეხედა საშკას და იშტვანის ასე უეცარ დაახლოებას. მართალია, ის ეთანხმება საშკას, როცა იგი ომს აგინებს, მაგრამ მას არ მოსწონს ბავშვების ნაადრევი დაახლოება. ცუდი არაფერი მოჰყვეს ასე ნაჩქარევ მეგობრობას. საჭიროა ფიქრი პოლკის ღირსებაზე. მთელი ამ ისტორიის გამოკვლევა კი კაპიტანმა მზარეულ დიმიტრის მიანდო.

როცა სტეფანე მზარეულს წარუდგა, იგი გართული იყო თავის კულინარულ ჯადოქრობაში. საველე სამზარეულოს ქვაბებში კომბოსტოს სუპი დუღდა და ირგვლივ თავის არომატს ავრცელებდა. სტეფანემ ხარბად შეისუნთქა ნერწყვის მომგვრელი სუნი, რომელიც ქვაბებს ასდიოდა. როგორც იქნა მზარეულმა თავი დაალწია საქმეს, თავისი ფართო სახე, სტეფანესაკენ მოაბრუნა და ჰკითხა:

— საჭმელი გინდა?

— თუ შეიძლება,— ნელი ხმით უპასუხა სტეფანემ.

მზარეულმა ცოტა სუპი დაუსხა, თეფშით მიაწოდა და უთხრა:

— პირველად ესეც კმარა. ერთბაშად ბევრი არ შეიძლება. მუცელი გეტკინება. თუმცა, დაიცა შვილო, სჯობს ჯერ ჩაი დალიო. ექიმები ასე ურჩევენ.

დიმიტრი რამდენიმე დღის განმავლობაში ყურადღებით აკვირდებოდა სტეფანეს, რომელიც მას ეხმარებოდა, და მხოლოდ ამის შემდეგ მოახსენა კაპიტანს, რომ «ტყვე», როგორც ჩანს, არ უნდა იყოს ცუდი ყმაწვილიო. კაპიტანმა გადაწყვიტა სტეფანეს დროებით დატოვება ნაწილში, თუმცა საშკა ამ ფორმულირების კმაყოფილი არ იყო:

— საშკა, შენ რატომ ხარ წინააღმდეგი? სტეფანე ომის მსხვერპლია. დამთავრდება ომი და მისი მდგომარეობაც შეიცვლება. ასე არ არის განა? ის თავის ბანაკში იცხოვრებს, შენ კი ომსკში. ეს ამბავი, რასაკვირველია, არ გამორიცხავს თქვენ შორის მეგობრობას. ომის შემდეგ სტეფანეს ბედი თავის სამშობლოში გადაწყდება, მანამდე კი ჩვენთან იყოს. დიმიტრის მიეხმარება სამზარეულოში.. ხანდახან მე, როცა თარჯიმანი იქნება საჭირო. — გადავწყვიტეთ.

* * *

ამრიგად, გვარდიელებთან ერთად სტეფანემ დუნაფელდვართან გადალახა დუნაი და წაიწიეს რა წინ, მდინარის სათავისაკენ, ზუგლიგეტს მიაღწიეს. გვარდიული დივიზია შეჩერდა. აქ ბრძოლები თითქმის აღარ იყო. ბრძოლები ბუდაპეშტის მახლობლად მიმდინარეობდა.

საშკა და სტეფანე ხშირად დასეირნობდნენ მახლობელ გორაკებზე, ხოლო როცა წყლის დასალევად მიჰყავდათ ცხენები, უსწრებდნენ რა ერთმანეთს, ყოველთვის ჯირითით მიდიოდნენ.

ერთხელ როგორღაც დიდ ბაღს გადადიოდნენ. მებაღის პატარა სახლს რომ გაუსწორდნენ, მათ შეამჩნიეს რომ უეცრად გაღებულ კარებიდან შავთვალა გოგო გამოვარდა, რომელსაც უტეხი, ჯიუტი შუბლი ჰქონდა.

— თქვენ გერმანელი ოფიცერი ხართ?—მიუახლოვდა რა აჩქარებულ მხედრებს, იკითხა მან და თანაც სტეფანეს ფორმას, რომელიც საშკას ნაჩუქარი იყო, ჭვრეტა დაუწყო.

— უთუოდ გაიგონა, როცა მე ვინმესთან უნგრულად ვლაპარაკობდი, — წარმოთქვა საშკასკენ მობრუნებულმა სტეფანემ.—ჰგონია, მასაც შევყვები საუბარში.

— სჯობს ჰკითხო, ვინა ჰყავთ ასეთი ცნობისმოყვარე, თვითონ თუ კიდევ სხვა ვინმე.

სტეფანე შეეკითხა. გოგონამ თავისი დიდი შალი შემოიხვია და ყურადღებით შეხედა საშკას.

— ჩემი ძმები, — წარმოთქვა მან.

— უთხარი მაგას, ძმებს აქ დაუძახოს.. თუმცა არ უნდა, მომეცი აღვირი, სჯობს შენ თვითონ გაჰყვე.



... უეცრად, გაღებულ კარებიდან გოგო გამოვარდა.

ცოტა ხნის შემდეგ გოგონა და სტეფანე დაბრუნდნენ, უკან ორი ბიჭი მოჰყვებოდათ: ერთი მთლად პატარა, მეორე ტანით თითქმის საშკას ტოლა.

— ამ პატარა ბიჭუნას მე ვიცნობ —თქვა სტეფანემ და უმცროს ბიჭზე მიუთითა, რომელიც უშიშრად ათვალიერებდა საშკას,—ერთხელ როგორღაც დიმიტრიმ დაუძახა სამზარეულოში და ახლა ხშირად მოდის მასთან პურისათვის.

— გამოდის, რომ ახლა მარჩენალი შენა ხარ! პურს შოულობ?!—ჰკითხა საშკამ ბიჭუნას.

ბიჭმა თავი დააქნია.

— ცხენების არ გეშინია?

— არა.—განაცხადა ბიჭმა.

საშკამ ბიჭი აიყვანა და თავის ცხენზე შესვა.

ასე გაეცნენ საშკა და სტეფანე მებალის ბავშვებს: ლაიოშს, ტერას და პატარა გეიზას. მათთან მისვლისას საშკას და სტეფანეს ყოველთვის პური მიჰქონდათ ხოლმე.

ერთხელ კომენდანტმა პეტროვმა მებალის ბავშვები თავისთან მიიწვია და შოკოლადით გამასპინძლებისას ლაიოშს ჰკითხა, ვინ უნდა გახდეს ის, როცა ომი დამთავრდება.

— ავიოკონსტრუქტორი!—დაასწრო ძმას პატარა გეიზამ.

კომენდანტი ღიმილით მოუბრუნდა ოთახში მყოფ ოფიცრებს.

— გინახავთ თქვენ, როდესმე, პუშკინის ბავშვობის პორტრეტი? ეს ბიჭუნა საოცრად ჰგავს მას...

შემდეგ იგი უფროსი ბიჭისაკენ მიტრიალდა და ჰკითხა:

— პუშკინი... ტუდომ?!*

ლაიოში მიუხვედრელი თვალებით შეჰყურებდა სტეფანეს.

კომენდანტმა ბეჭებში ჩაავლო ხელი ბიჭს, თვალებში ჩახედა და ჰკითხა.

— პეტეფი... ტუდომ?

ლაიოშმა ისევ შეხედა სტეფანეს და შემდეგი წარმოთქვა:

— ვიცი პეტეფი, დიდი პოეტი!

— სწორია,—თარგმანის მოსმენის შემდეგ წარმოსთქვა კომენდანტმა,—უნგრეთის დიდი პოეტი.

საშკა შეურაცხყოფილი შემობრუნდა სტეფანესაკენ: — უთხარი მაგას რომ ჩვენში ყველა მოსწავლემ იცის პეტეფი. მაშ, მან რატომ არ იცის, ვინ არის პუშკინი?

კომენდანტმა თარჯიმანი შეაჩერა.

— ამის თქმა არ არის საჭირო. ამაში თვითონ არ არის დამნაშავე. — და საშკასაკენ მობრუნებულმა დაუმატა:— არ მეგონა საშკა, რომ შენ ასე ეპყრობოდი შენს ახალ ნაცნობებს. ჰოდა, ახლა ამის შესახებ კი არა, მოილაპარაკე სტეფანესთან და ამ ბიჭთან ერთად, საჭიროა ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის მიმდინარე პოლიტიკის შესახებ რაიმე ლექციის ჩატარება, ანდა ახალგაზრდობისათვის დეკლამაციის ან ცეკვის საღამოს მოწყობა. ერთად მოიფიქრეთ გეგმა.

მალე კომენდანტურის ერთერთ ოთახში «საორგანიზაციო კომიტეტის» სხდომა შედგა. კომენდანტი, რომელიც



— პეტეფი, ტუდომ?!

დროგამოშვებით თავის საქმეებს მიატოვებდა ხოლმე, გაცხარებით მოკამათე «კომიტეტელებს» ესაუბრებოდა. ასეთ დროს ლაიოშს თვალები უბრწყინდებოდა. ერთხელ თავი ვერ შეიკავა და თქვა: — დიახ, ამხანაგო კომენდანტო, მეტი პეტეფი და მეტი პუშკინი.

— ის ამბობს, რომ საჭიროა პუშკინის მეტი ლექსების შეტანა საღამოს პროგრამაში,—გადათარგმნა სტეფანემ, რომელსაც სრულიად დაავიწყდა, რომ რუსულის რუსულად თარგმნა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა.

კომიტეტი რამდენიმე დღის განმავლობაში ამუშავებდა საღამოს ჩატარების გეგმას.

საღამომ არაჩვეულებრივი წარმატებით ჩაიარა. სკოლის დარბაზი, სადაც კონცერტი შედგა, ხალხით იყო გაჭედილი. დიმიტრის, რომელმაც თავისებური მონაწილეობა მიიღო დღესასწაულში, კომენდანტმა განსაკუთრებული მადლობა გამოუცხადა, რადგანაც მის მიერ მომზადებულ პელმენებს უდიდესი წარმატება ხვდა წილად, როგორც ბავშვებში ისე დიდებში.

ოთხი დღის შემდეგ საჭირო შეიქნა კონცერტის ხელახლა განმეორება. წარმატებით აღფრთოვანებულმა კომენდანტმა «კომიტეტელების» წინაშე ახალი ამოცანები დააყენა.

— ახლა მე სრულიად სერიოზული გეგმები მაქვს, — ამბობდა იგი.—ყველგან, სადაც კი ბრძოლები დამთავრდა, სასწავლო წელი უკვე დაიწყო. აქ, სამწუხაროდ, ბრძოლები ისევ გრძელდება, მაგრამ რატომ არ უნდა დავიწყოთ მეცადინეობა აქაც? შენობა გვაქვს, მასწავლებლების თავმოყრა შეიძლება, შეუდექით საქმეს, ბავშვებო, მე თქვენ მოგეხმარებით.

ეს ნიშნავდა იმას, რომ იგი ნამდვილად გაატარებდა ცხოვრებაში თავის განზრახულს, რადაც არ უნდა დაჯდომოდა იგი.

* ტუდომ (დამტვრეული უნგრული) — გესმის? — გაგიგია?

მაგრამ განზრახულის შესრულება მას აღარ დასცალდა. მეორე დღეს მისი სხეული მოწინავე ხაზიდან მოიტანეს მეგობრებმა. იგი მკვდარი იყო. ტყვიას გაეგმირა უშიშარი ოფიცრის გული. კომენდანტს სახე მკაცრი ჰქონდა იგი თითქოს სინანულს გამოხატავდა, რომ ვერ შესძლო განზრახული გეგმის შესრულება,

საშკა გაუნძრევლად იდგა დაღუპული მეგობრის და მეთაურის ცხედართან, ფერმკრთალ სახეზე მსხვილი ცრემლები ჩამოსდიოდა.

სტეფანემ, მკვდარი კომენდანტი რომ დაინახა, სახეზე ხელები მიიფარა, ქუჩაში გავარდა და ხმამაღლა აქვითინდა. ცოტა ხნის შემდეგ მას საშკაც მიჰყვა, იგი შესანიღბავ თეთრ ხალათში იყო, კასკითა და ავტომატით.

— მოწინავე ხაზზე წავიდეთ, მოვნახოთ საძაგელი, რომელმაც ტყვია ესროლა ჩვენს მეთაურს! — ცრემლების ყლაპვით უთხრა მან სტეფანეს.

მოწინავეზე ისინი, რასაკვირველია, არ გაუშვეს. საშკამ და სტეფანემ საყვარელი უფროსის ცხედართან გაატარეს მთელი ღამე. დილით კომენდანტურის ეზო ბავშვებით აივსო. ხელში ყველას ზუგლიგეტის ნაძვების ტოტები ეჭირა. როცა ლაიოში კომენდანტის ცხედართან მიუშვეს, მან ნაძვის ტოტები კუბოს სახურავთან დააწყო და შემდეგ რატომღაც დიდხანს უყურა იქვე მდგომ საშკას, რომელსაც სივრცეში გაშტერებოდა თვალი.

საღამოს, უკანასკნელ გზაზე მიაცილებდნენ ბავშვები კომენდანტს. ისინი საპატიო ესკორტის უკან მიდიოდნენ, სალდათებთან ფეხშეწყობით, რომლებიც მწუხარე სამგლოვიარო მარშის ხმაზე ნელა მიაბიჯებდნენ.

ცივ მყუდროებაში, როცა გამოსათხოვარმა სალუტმა დაიგრგვინა, საშკა გადაეხვია სტეფანეს და ძლივს თქვა:

— მომეცი პირობა, რომ ნამდვილად ძმა იქნები ჩემი.

სტეფანესთან ხელჩაჭიდებულმა გასჭრა ბრბო და ვიღაცას თვალებით დაუწყო ძებნა. ახალ საფლავთან ლაიოში, ტერა, გეიზა და მათი მშობლები იდგნენ. საშკა მივიდა, მოჰკიდა ლაიოშს ხელი და წარმოთქვა:

— უთხარი ამათ, სტეფანე, რომ ომი ცუდი საქმეა. დე, ნურასოდეს აიწევა მათი ხელები, მათსავით უბრალო ხალხის წინააღმდეგ. დე, მათ ანადგურონ ისინი, ვინც ახალ ომს მოისურვებს.

* * *

 აი, მთელი წინაისტორია ციმბირელი ყმაწვილის ლეიტენანტ ალექსანდრე გალჩანის წერილებისა. განა განმარტებაა საჭირო, რომ საშკა და ლეიტენანტი ალექსანდრე გალჩანი—ერთი და იგივე პიროვნებაა! წერილში სტეფანეს ანუ იშტვანი ზაგს გალჩანი სწერდა: «მაშინ ჯერ კიდევ ბავშვები ვიყავით. ახლა მოწაფეები ვართ... მაგრამ მაშინაც კი დამნაშავეებმა ჩვენ ტანჯვისთვის გაგვიმეტეს. დემოკრატიული ახალგაზრდობის ბუდაპეშტის მომავალ მსოფლიო კონგრესზე ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა ვთქვათ:—არასოდეს! არასოდეს!»

ლაიოშ პერცელს, ზუგლიგეტში, ლეიტენანტმა ალექსანდრე გალჩანმა მისწერა: «მე მინდა, ერთხელ კიდევ ვინახულო ის ადგილები, სადაც ჩვენ კაპიტან პეტროვის საფლავთან ერთმანეთს შევფიცეთ,—გავანადგუროთ მომავალი ომის გამჩაღებლები, მშვიდობიანი ქალაქების დამგრევნი. მე ვიცი, რომ შენ ერთგული ხარ ამ ფიცის».

თარგმნა ე. კეჭაყმაძემ

ილია სიხარულიძე

## მევენახის სიმღერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზს ვუვლი და ვაზს შევყურებ
მე, ქართველი მევენახე;
ვაზი გულით არ უყვარდეს,
მევენახე მე ვერ ვნახე!

ძველთაგანვე ქვეყანაზე
ცნობილია ჩვენი ვაზი,
უხარებდა გულს მოყვარეს,
მტრებს ავსებდა შურით, ბრაზით.

და როდესაც თავს დაგვესხა
თემურ-ლენგი, შახ-აბაზი,
ბრძანეს: ვაზი აეკაფათ,
ამოეგდოთ სულ მთლად ვაზი.

მაგრამ მტრებმა ველარ გვძლიეს
გაუტეხელთ ჭირში ქართველთ,
ვერც ვენახი ამოაგდეს,
ვერც სამშობლო ვერ წაგვართვეს.

რა ხანია ჩვენს მხარეში
თავისუფლად შრომობს ხალხი,
თავისუფლად იფურჩქნება
ბაღჩა, ბაღი და ვენახი.

მეც ხალისით ვშრომობ, ვიღწვი,
კოლმეურნე მევენახე,
ვაზი გულით არ უყვარდეს,
მევენახე მე ვერ ვნახე.

ვაზი უხვი, სანდო არის,
გვაძლევდა და გვაძლევს დოვლათს,
გვიყვარს მისი გაშენება
და სათუთად მისი მოვლა;

მობრძანდება შემოდგომა,
მარნის კარებს შემოაღებს,
ყურძნით, ღვინით, ჩურჩხელებით
აგვავსებს და გაგვალაღებს.

ვაზი ჩვენი ერთგულია,
ჩვენი მოძმე ლხინში, ჭირში;
დაილოცოს მისი ძირი,
დაილოცოს მისი ჯიში!

ვაზს ვუვლი და ვაზს შევყურებ
მე, ქართველი მევენახე;
ვაზი გულით არ უყვარდეს,
მევენახე მე ვერ ვნახე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა მეზღვაურის ჩანაწერები



ვახტანგ ბარათაშვილი

მხატვარი შ. ცხადაძე

## ერთ ნავსადგურში

თერთმეტჯერ გადამისერავს დიდი ანუ წყნარი ოკეანე. წყნარი მას დაარქვა მაგელანმა 1520 წელს, როცა დედამიწის ირგვლივ მოგზაურობის დროს პირველად გადასერა ის, დიდი კი უფრო გვიან ერთმა ფრანგმა გეოგრაფმა.

მეზღვაურები ხშირად ოხუნჯობენ, „მაგელანს ბედი სწყალობდა“ მისი მოგზაურობის დროს ოკეანე არ ღელავდა და ამიტომ დაარქვა წყნარი ოკეანეო.

მანსანლიეს ნავსადგურიდან ჩრდილოეთისაკენ მივდიოდით, მალე კალიფორნიის ნაპირები უნდა გამოჩენილიყო. უეცრად ბარომეტრი მკვეთრად დაეცა, ცა მოიღუშა და თვალის დახამხამებაში შავი ღრუბლებით დაიფარა; ჩრდილოეთის ქარი შესამჩნევად გაძლიერდა.

— ქარის ძალა გაზომეთ, პეტრე ივანეს-ძევ, განკარგულება გავეცი და არიომეტრი სწრაფად დატრიალდა.

— შვიდი ბალი ამხ. კაპიტანო, — მომახსენა თანაშემწემ.

— ცხრა ბალი,—გადმომცა 15 წუთის შემდეგ.

ოკეანე მთლად თეთრი ქაფით დაიფარა, ტალღები ყალყზე დგებოდნენ, ხომალდს ეხეთქებოდნენ და არყევდნენ. 30-40 წუთის შემდეგ კი უკვე შეუძლებელი იყო კაპიტანის ბოგზე კარის გაღება. ქარს ჩვენს თვალწინ მოჰქონდა ყველაფერი: ქარიშხალმა მაშველი ნავები მოგლიჯა და ზღვაში გადაყარა, აბობოქრებული ოკეანე თვალის დახამხამებაში ნთქავდა პროდუქტების ყუთებს, კასრებს.

სასწრაფო ზომებს ვღებულობდით იმისათვის, რომ საშიშროება თავიდან აგვეცილებია. მაგრად ჩავკეტეთ კარები, ილუმინატორები, ლიუკები და ტრიუმები. გემბანზე სიარული შეწყდა. ვინც უკანა ბაქანზე ცხოვრობდა, ხომალდის შუა ნაწილში, წითელ კუთხეში დარჩა. მზარეული კამბუზიდან ველარ გამოსულიყო. ყველაფერი ცვიოდა და იმსხვრეოდა.

— რა უნდა მოვამზადო!—წუწუნებდა ის,—მოგროვება და ალაგება თუ მოასწარი, ისიც კარგია.

საწერი მაგიდის უჯრები, სკამები, წიგნების თარო, კარადის კარები—ყველაფერი იღებოდა, ხმაურობდა, კაიუტების იატაკზე მიგორავდა, სხვადასხვა ხმას გამოსცემდა.

დამფრთხალი ცხოველები მიიმალნენ, — ზოგი სად და ზოგი სად.

ასე ბობოქრობდა წყნარი ოკეანე სამი დღე-ღამის განმავლობაში, ერთი წამითაც არ გვქონდა მოსვენება. მდგომარეობა მეტად რთულდებოდა, მაგრამ მეოთხე დღეს ოკეანე მზის ამოსვლისას უეცრად დაწყნარდა.

მეზღვაურები გამძლე ხალხია და მათი ცხოვრება მეტად თავისებურია. ცოტა ხნის წინათ მოღუშულნი ქარიშხლის ჩადგომისთანავე გამოცოცხლდნენ, გემბანზე გამოიშალნენ და ხმამაღლა დასცინოდნენ მზარეულს, რომელსაც ბევრი დაჟეჟილი ქვაბი გამოეტანა და სათითაოდ ასწორებდა.

საცოდავი ჩვენი „მგზავრები“ თავშესაფრებიდან ძვრებოდნენ: დათუნია ჯალამბარის ქვეშიდან გამოძვრა, მთლად მაზუთში გათხუპნული, გამხდარი და ბუზღუნბუზღუნით წავიდა მზარეულთან. მაგრამ დათუნია პირველი როდი იყო. კამბუზთან უკვე იდგნენ იაშა და მაშა, მოსაპარავი კი ჯერ არაფერი იყო. პირშიჩალაგამოვლებული და განაწყენებული დათუნია წავიდა, რომ თავის საყვარელ კასრში ებანავნა, მაგრამ კასრი ადგილზე აღარ აღმოჩნდა და იმედგაცრუებული დათუნია პირატისკენ წაბაჯბაჯდა.

ერთხანს ცხოველებსაც კი დაეკარგათ თამაშის ხალისი; გამხდრები და დაღლილები საცოდავი შესახედავი იყვნენ. მაგრამ სამ საათსაც კი არ გაევლო სადილობის შემდეგ, რომ უკვე გემბანზე დახტოდნენ და ყირას გადადიოდნენ.

საღამოს ტალღის საკვეთები გავიარეთ. გემი ლოცმანს მიჰყავდა,—აქ საშიში ადგილებია...

მალე ჩვენი გემი მისადგომთან მიაბეს, სადაც უამრავი საწყობები იყო. ხელისუფლების წარმომადგენლები და ექიმი დიდხანს დარჩნენ გემზე, გვესაუბრებოდნენ ნავახშმევს და ჩვენს პაპიროსს ეწეოდნენ. განსაკუთრებით მოეწონათ მზარეულ ბანდურკოს მიერ ოსტატურად მომზადებული უკრაინული ბორში.

საზღვაო აგენტმა პაპიროსს თამბაქოიანი პილზი მოგლიჯა, ცარიელი ქაღალდის მილი—მუნდშტუკი თვალებთან მიიტანა და თქვა:

— მოსკოვსა ვხედავ! ჯერ კიდევ პირველი იმპერიალისტური ომის წინ მთელი ჩვენი ოჯახი,—დედა, მამა და მე, ევროპის ქვეყნებში ვიყავით. ჩემი მშობლები ცირკის მსახიობები იყვნენ. რუსეთში უნდა წავსულიყავით, მაგრამ ომი დაიწყო და უკან დაბრუნება მოგვიხდა. ძალიან მინდა საბჭოთა კავშირში მოვხვდე, რამდენი რამე გამიგია მის შესახებ.

— იცით, მისტერ კაპიტან!—განაგრძო აგენტმა,—უნდა გამოგიტყდეთ, ვერაფრით ვერ დამიჯერებია, რომ თქვენში უმუშევრები არ არიან, მართალია ეს?

— დიახ, მართალია,—ვუპასუხე,—ქუჩაში რომ გამოხვალ, ბევრ განცხადებას ნახავ: „ფაბრიკას ან ქარხანას სჭირდება სხვადასხვა სპეციალისტები", ან „სად უნდა ისწავლო".

— ჰო, ჰო,—სიტყვა ჩამომართვა აგენტმა,—ესეც ძნელი დასაჯერებელია, რომ თქვენში ყველას შეუძლია ისწავლოს.

— ვინც მოინდომებს, მისთვის ღიაა ყველა კარი მეცნიერების შესასწავლად,—მივუგე მე.

— ჰოო...—გააგრძელა მან, ერთხელ კიდევ დახედა თამბაქოს და თქვა:—„მოსწიეთ „კამელი", „სვით „კოკა-კოლა"—აი ჩვენი ძირითადი რეკლამები.

გემბანიდან რომ ჩადიოდა, აგენტმა მაგრად ჩამომართვა ხელი და მითხრა:—მშვიდობა და მეგობრობა, კაპიტანო!

იმ ღამეს ძილი არ მომეკარა და ღამის ვახტის შესამოწმებლად გამოვედი. თანაშემწე და მატროსი თავის ადგილებზე დამხვდნენ. ისინი ერთი მიმართულებით იცქირებოდნენ და თითქოს რაღაცას უგდებდნენ ყურს.

— რას უყურებთ, ბორუნოვ?—შევეკითხე.

— ამხანაგო კაპიტანო, ცოტა ხნის წინ საზარელი ყვირილი შემოგვესმა, ჩვენ ვფიქრობთ, საწყობიდან.

—ჩადით და გაიგეთ რა მოხდა, პეტრე ივანეს-ძევ,—ვუთხარი თანაშემწეს.

თანაშემწე წავიდა, გულმა არ მომითმინა და მეც გავყევი. საწყობთან რომ მივედი, დავინახე ბავშვების ჯგუფი, რომლებიც სწრაფად აწყობდნენ ყუთებს ერთი ადგილიდან მეორეზე. რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მით უფრო გარკვევით და ხმამაღლა ისმოდა ადამიანის კვნესა.

— ჩქარა! ჩქარა! გაინძერით! მალე გათენდება. სადაც არის გემი მოგვადგება, ტვირთისათვის კი ადგილი არა მაქვს,—ჩახლეჩილი ხმით ებუზღუნებოდა ბოსი ბავშვებს.

ბავშვთა საცოდავი ფიგურები კიდევ უფრო სწრაფად ამოძრავდნენ უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილ უზარმაზარ ყუთებს შორის. ბავშვებს უხეში პარუსინის უამრავჯვიბეებიანი შარვლები და სქელძირიანი, ქუსლებმორღვეული ფეხსაცმელები ეცვათ, ზოგს კი შიშველი ფეხები ხის ქოშებში ჰქონდა წაყოფილი.

ბავშვის საშინელი კვნესა გულს მისერავდა, მივხვდი, რომ ალბათ ერთ-ერთი ბავშვი ყუთებს ქვეშ მოჰყვა, მეპატრონე კი, იმის მაგივრად, რომ სასწრაფო დახმარება გამოეწვია, წუხდა, ადგილი არა მაქვსო, და ბავშვებს ყვირილით აჩქარებდა, ზოგს კი წამოუთაქებდა კიდეც.

— ძაღლის ლეკვებო, მუშაობა არ შეგიძლიათ, აღარც დაგიქირავებთ ამის მეტად; დღეს თუ ტვირთის მიღებაში ხელი შემეშალა ფულსაც არ მიიღებთ,—ბრაზისაგან ხმა უწყდებოდა ბოსს.

დაღლილობისაგან ბავშვებს თვალები ეხუჭებოდათ და თითქმის ავტომატურად მუშაობდნენ.

— დაუძახეთ ჩვენს ექიმს, პეტრე ივანეს-ძევ,—ვუთხარი თანაშემწეს, რომელიც ბავშვებს ეხმარებოდა ყუთების გადალაგებაში, რომ ქვეშ მოყოლილი ბავშვი ამოეყვანათ.

ყუთებს შორის უკვე გამოჩნდა ბიჭის ხელები და ფეხები. ის ჯერ კიდევ ინძრეოდა.

მალე ექიმი მოვიდა, ბავშვი აიტაცა და ხომალდზე წაიყვანა.

ზოგ ბიჭს უნდოდა გამოყოლოდა მეგობარს, მაგრამ ბრაზიანი მეპატრონის შიშით ადგილიდან ვერ დაიძრნენ და მხოლოდ თვალი გამოაყოლეს.

ბიჭი გემზე ლაზარეთში იწვა. მარცხენა ლოყაზე ტყავი ჰქონდა ამძვრალი, ნეკნები ჩამტვრეული ჰქონდა. პირველი დახმარების აღმოჩენის შემდეგ ჩვენმა ექიმმა აუცილებლად ჩათვალა მისი ჰოსპიტალში გაგზავნა, რადგან ჩვენ ვერაფერს ვუშველიდით. ქალაქში დავრეკეთ და ბავშვი წაიყვანეს.

ბორუნოვი ტრაპთან იდგა, უჩვეულოდ მკაცრი სახე ჰქონდა, თვალებს ხშირ-ხშირად ახამხამებდა და ცრემლები ჩამოსდიოდა.

9 საათისათვის გემი მოვიდა, გემმისადგომთან იმ საწყობის პირდაპირ დადგა და განტვირთვა დაიწყო.

ოციოდე ბიჭმა მოირბინა და თავისი მეგობრის ამბის გამოკითხვა დაგვიწყო.

— როგორ მოხდა ეს ამბავი?—ჰკითხა ერთ-ერთს პეტრე ივანეს-ძემ.

— მე უკეთ მოგიყვებით!—გამოგვეხმაურა ბავშვებთან ერთად მოსული მტვირთავი. ეს იყო მაღალი, გამხდარი, ფართო სახიანი კაცი; უქუდო იყო და ტანზე ლურჯი ტილოს სპეცტანისამოსი ეცვა.

— ეს ბავშვები,—დაიწყო მან,—ყოველ საღამოს იყრიან თავს და თუ რამე სამუშაო გამოჩნდება, მეპატრონეები იქირავებენ მათ—ეს იაფი მუშახელია, მთელი ღამის მუშაობაში ისინი 15—20 ცენტს იღებენ, რა თქმა უნდა ჩალის ფასად მუშაობა გამოუდით, მაგრამ ცოტათი მაინც ეხმარებიან ოჯახს.



მალე ექიმი მოვიდა, ბავშვი აიტაცა და ხომალდზე წაიყვანა.

— მსხვერპლი ხშირია?—ვიკითხე მე.

— დიახ, სერ, ხშირი. აი აქ,—განაგრძო მან,—საწყობი ნორმალურად იყო შევსებული, მაგრამ ბოსს თავისუფალი ადგილი დასჭირდა, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ყუთები ერთი მეორეზე დაეწყო და ადგილი გაენთავისუფლებინა. ამისათვის ბავშვთა შრომა გამოადგებოდა, ბავშვები ეზიდებოდნენ და სულ უფრო მაღლა აწყობდნენ ყუთებს, მაგრამ უეცრად ზემოთა ყუთი გადმოვარდა, მას მოჰყვნენ დანარჩენები და ახლოს მდგარი ბავშვი ქვეშ მოიყოლეს. ესეც მსხვერპლი. ეს კიდევ არაფერი,—განაგრძო მან,—ამას წინათ ვაშინგტონში ერთი ბიზნესმენი მოურიგდა სამხედრო მინისტრს და ჯართის ფასად შეისყიდა 1941—45 წლების ომის შემდეგ კუნძულებზე დარჩენილი ყველა დაზიანებული მანქანა—ტანკები, თვითმფრინავები და ათასგვარი სხვა საომარი იარაღები. შეაკეთა და ისევ მთავრობას მიჰყიდა.

— აი, ამას ქვია ბიზნესი!—თქვა პეტრე ივანეს-ძემ.

— ჰოდა აი ეს მანქანები ყოველი მხრიდან ჩამოჰქონდა ათობით ხომალდს, მათი გადმოტვირთვისას კი ნავსადგურის ათობით მუშა და მტვირთავი იღუპებოდა,—ის ცოტა ხანს შეჩერდა და ასე დაამთავრა:

— საკვირველია, ყველგან სისხლია დაღვრილი. ამ ტანკებით, ამ იარაღით, რომლის გადმოტვირთვა მეც მომიხდა, სადღაც სისხლს ღვრიდნენ ომის დროს. მათი გადმოტვირთვისას გემმისადგომები ილებებოდა სისხლით და ამავე იარაღით ანთხევს სისხლს კორეაში ჩვენი შავი მთავრობა, ამავე იარაღით ემუქრება მთელი მსოფლიოს მშვიდობიან მცხოვრებლებს.

ის გარკვევით და მკაფიოდ ლაპარაკობდა, მის ხმაში მოისმოდა რწმენა და გაბედულება.

ჩვენმა ექიმმა იცოდა იმ ჰოსპიტლის მისამართი, სადაც ბიჭი დააწვინეს, საჩუქრები იყიდა და იუნგებთან ერთად ავადმყოფის სანახავად წავიდა. შემდეგ გვიამბობდა, აუწერელია, როგორ გაუხარდა ბიჭსა და მის მეზობლებს პალატაში მათთან რომ მივედი.

ჩვენ ყოველდღე ვიგებდით პატარა მუშის ამბავს. მან თანდათან გამოჯანმრთელება დაიწყო.

მალე დავტოვეთ ამერიკის შეერთებული შტატები და ჰავაის კუნძულებისაკენ გავემართეთ.

გზაში, ჩემთან კაიუტაში ბორუნოვი შემოვიდა და მორიდებით მითხრა:

— როგორ მინდა როდისმე ვნახო ის ბიჭი ჯანსაღი და ხალისიანი.

— იცით რა, სერიოჟა,—ვუთხარი მე. როდისმე ის ბიჭი კი არა ვაჟკაცი იქნება.

ბორუნოვმა ღიმილით განაგრძო:

— იცით, ამხანაგო კაპიტანო, ამ ბავშვების სახეს ბავშვური არაფერი სცხია. სერიოზული, დანაოჭებული და დაქანცული სახეები აქვთ.

— მართალი ხარ, სერიოჟა, მათ შორის არ გაგვიგონია ბავშური კისკისი, ეს საწყლები მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ როგორმე სამუშაო იშოვონ და დამშეულ ოჯახს დაეხმარონ.

# ახალგაზრდობის ყოფაქცევისა და კულტურის შესახებ

საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც ცხოვრობს და მოღვაწეობს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად სტალინურ ეპოქაში, ყოველმხრივ განათლებული და კულტურული უნდა იყოს. პროგრესიული კაცობრიობის გენიალური ბელადები—მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი არაერთხელ მიუთითებდნენ ახალგაზრდობას ამის შესახებ. აქედან გამომდინარე, სახელოვანი კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო და ლენინური კომკავშირი საბჭოთა ახალგაზრდობას ზრდიდნენ და ზრდიან ყოველმხრივ განათლებულ და კულტურულ მოქალაქეებად.

ჩვენი ახალგაზრდობა „ჩვენი ხალხის საუკეთესო თვისებებს განასახიერებს". მას თავგანწირვამდე უყვარს თავისი სამშობლო, თავდადებული შრომა, კომუნისტური პარტია და მისი დიდი ბელადები: ლენინი და სტალინი. იგი მამაცია და გამბედავი, აღჭურვილია მტკიცე, უდრეკი სტალინური ნებისყოფით, რევოლუციური, სოციალისტური ოპტიმიზმით, სულიერი ცხოვრების მდიდარი და უსაზღვრო ჰორიზონტით.

ასეთია ჩვენი საამაყო ახალგაზრდობის მორალური სახე. მაგრამ, როგორც მიუთითა საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობაზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ი. მგელაძემ, სამწუხაროდ ჩვენი ახალგაზრდობის წრეში ჯერ კიდევ ვხვდავთ ამორალური ყოფაქცევის შემთხვევებს. ამხ. მგელაძე ყრილობაზე ამბობდა: „საკმარისია ითქვას, რომ 1951 წლის განმავლობაში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები იძულებული გახდნენ თავიანთი რიგებიდან გაერიცხათ 600 კაცი სხვადასხვა ამორალური საქციელისათვის. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გვერდი არ უნდა აუარონ კომკავშირული ეთიკის დარღვევის ფაქტებს, ამორალური ქცევის ფაქტებს. თვითეული ასეთი შემთხვევა ფართო განხილვის საგანი უნდა გავხადოთ კომკავშირულ კრებებზე, შევქმნათ მათს გარშემო საზოგადოებრივი აზრი. არცერთი ამორალური მოქმედება დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, რა უმნიშვნელოდაც უნდა გვეჩვენებოდეს იგი".

ჩვენი ახალგაზრდობის წრეში ამორალური ქცევის მოვლენები კაპიტალიზმის სამარცხვინო ნაშთებზე მიუთითებს.

საბჭოთა ახალგაზრდობა ყოფაქცევის მაღალი კულტურითაც მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს ბურჟუაზიული ახალგაზრდობისაგან.

მაშ რა იგულისხმება ყოფაქცევის კულტურაში, უკეთ რა ნიშნებით ხასიათდება საბჭოთა ადამიანის ყოფაქცევა, კერძოდ საბჭოთა ახალგაზრდა ადამიანის ყოფაქცევის კულტურა?

მხცოვანი ბოლშევიკი მიხეილ კალინინი ამბობდა: კულტურის ცნება მეტად ფართოა—პირის დაბანიდან დაწყებული ადამიანის აზროვნების უკანასკნელ მწვერვალამდე.

უპირველეს ყოვლისა ადამიანის კულტურა ვლინდება კაცობრიობის მიერ საუკუნეებით მოპოვებული ცოდნის დაუფლებაში, მეცნიერების მწვერვალების დაუფლებაში.

განათლება, ცოდნა ყოველგვარი კულტურის საფუძველია. უამისოდ შეუძლებელია ვილაპარაკოთ ადამიანის კულტურაზე. ლენინი და სტალინი არაერთხელ მოუწოდებდნენ ახალგაზრდობას დაუფლებოდა იგი მეცნიერებას, კულტურას, მაგრამ ყველა ადამიანი, რომელსაც კი რაიმე განათლება მიუღია, როდი ჩაითვლება კულტურულ, განათლებულ ადამიანად. „განათლებულ ადამიანად შეიძლება ჩაითვალოს არა ის,—მიუთითებდა ახალგაზრდობას კალინინი,—ვინც ბევრს კითხულობს, არამედ ის, ვინც საფუძვლიანად სწავლობს მატერიალისტურ ფილოსოფიას, ეუფლება მეცნიერების სიმდიდრეს, ვინც გაიაზრებს წაკითხულს და ესმის, როგორ შეუხამოს რევოლუციური თეორია რევოლუციურ პრაქტიკას".

მხოლოდ ასეთ ადამიანს შეუმუშავდება მტკიცე, ურყევი შეხედულება ადამიანზე, ცხოვრებაზე, რომელიც საფუძვლად დაედება მთელ მის ცხოვრებას და მოღვაწეობას. ასეთი ადამიანის ქცევაც მაღალი კულტურულობის მაჩვენებელი იქნება.

ადამიანის ყოფაქცევის მაღალი კულტურულობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია ზრდილობა და თავაზიანობა. საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა ახალგაზრდის ზრდილობიანი და თავაზიანი მოპყრობა ადამიანებისადმი გამომდინარეობს კომუნისტური მორალის ძირითადი პრინციპიდან—სოციალისტური ჰუმანიზმიდან.

სოციალისტური ჰუმანიზმი მოითხოვს პატივს ვცემდეთ და ვაფასებდეთ ადამიანს, ფრთხილად და მზრუნველობით ვეპყრობოდეთ მას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ყველა კაპიტალთა შორის ყველაზე ძვირფასი, კაპიტალი ადამიანია, და მოითხოვს ისეთივე მზრუნველობითა და სიყვარულით ვზრდიდეთ და ვეპყრობოდეთ ადამიანებს, კადრებს, როგორი სიყვარულითაც და მზრუნველობითაც მებაღე ზრდის ბაღში ნერგს.

ზრდილობა გამოხატავს ადამიანის ადამიანისადმი პატივისცემით, გულისხმიერებით, მზრუნველობით მოპყრობას.

ადამიანისადმი უხეში, უხამსი მოპყრობა ადამიანის ქცევის უკულტურობის აშკარა მაჩვენებელია.

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ შეხვდებით აქა-იქ ისეთ ახალგაზრდებს, რომელთაც ხალხში საუკუნეებით განმტკიცებული ზრდილობა-თავაზიანობის ჩვევები, რაღაც ზედმეტად და, ასე წარმოიდგინეთ, ბურჟუაზიული მორალის, მეშჩანობის გადმონაშთად მიაჩნიათ. ასეთ ახალგაზრდებს ისიც კი ზედმეტად მიაჩნიათ, რომ ნაცნობს შეხვედრისას მიესალმონ; გამარჯვება უსურვონ, ანდა შეხვედრის შემდეგ გამოემშვიდობონ, უთხრან: „მშვიდობით, გნახეთ კარგად, ნახვამდის". ამ ამხანაგებს ავიწყდებათ, რომ სიტყვები: გამარჯობა, დილა მშვიდობისა, ნახვამდის, ღამე მშვიდობისა და სხვ. ცარიელი კი არა, არამედ ღრმა შინაარსის შემ-

ცველი სიტყვებია, რომლებშიაც გამოიხატება ადამიანის ადამიანისადმი პატივისცემა, გულისხმიერება, კეთილი სურვილები. გასაგებია, რომ ამ ახალგაზრდების ქცევას რაღაც სიტლანქის დაღი აზის, აკლია ლაზათი, მიმზიდველობა და სითბო.

არიან ისეთი ახალგაზრდებიც, რომელნიც საზოგადოებაში იქცევიან ზრდილობიანად, კულტურულად, ხოლო სახლში მათი ქცევა სრულიად იცვლება: ხდებიან უხეშნი, კაპრიზობენ სულ მცირე რამეზე, კითხვაზე პასუხს არ იძლევიან, ხმარობენ უწმაწურ გამოთქმებს და სხვ.

ცხადია, ეს ახალგაზრდები ნამდვილ კულტურულ ახალგაზრდებად ვერ ჩაითვლებიან. საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა ახალგაზრდის ქცევა არ შეიძლება გაორებული იყოს: ერთი იყოს გარეთ,—საზოგადოებაში, მეორე—სახლში, ყოფაცხოვრებაში, რადგანაც ნამდვილი საბჭოთა ადამიანი, მონოლიტური პიროვნებაა. გაორებული ქცევა ბურჟუაზიული მორალის ნაშთია, რასაც სასტიკად უნდა ებრძოლოს საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი.

კულტურული ყოფაქცევის არსებით ნიშნად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე, დისციპლინიანობა.

დისციპლინიანობა გულისხმობს ორგანიზებულობას, პასუხისმგებლობას, მოვალეობის დროულად და ზუსტად შესრულებას. მაგალითად თუ წასასვლელი ხარ კრებაზე—ნუ დაიგვიანებ, დროზე წადი, თუ ამხანაგს პირობა მიეცი— პირობა შეუსრულე, თუ დღეს საქმე გაქვს—ხვალისათვის ნუ გადასდებ, და სხვ. თითქოს ყველაფერი ეს წვრილმანებია, მაგრამ ამ წვრილმანებსაც კი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგი მაკარენკო ამბობდა: საბჭოთა საზოგადოებაში უდისციპლინო ადამიანი ეს ისეთი ადამიანია, რომელიც საზოგადოების წინააღმდეგ გამოდისო. ამა თუ იმ ადამიანის უდისციპლინო ქცევა უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, კოლექტივზე. ეს უნდა ახსოვდეს თითოეულ ახალგაზრდას.

დისციპლინა განუყრელად, ორგანიულადაა დაკავშირებული თავდაჭერილობასთან, თავშეკავებულობასთან. უნდა შეგვეძლოს წუთიერ აფეთქებათაგან თავშეკავება. უბრალო, უმნიშვნელო რამის გამო არ გამოვიდეთ მოთმინებიდან და ამით შეურაცხყოფა არ მივაყენოთ ადამიანებს.

განა არ არის შემთხვევები, როდესაც ვიღაცა ტრამვაიში ან ტროლეიბუსში უნებურად ფეხს დაგადგამთ, თქვენ თავს ვერ იკავებთ და უხეშად მიმართავთ „თვალები გააჭყიტეთ, გძინავთ". ცოტახნის შემდეგ დამშვიდდებით და თქვენვე შეგრცხვებათ თქვენი თავშეუკავებლობისა.

საბჭოთა ადამიანი, საბჭოთა ახალგაზრდა თავის ქცევაში თავმდაბალიც უნდა იყოს.

ქედმაღლობა, ყოყოჩობა, ადამიანებისადმი ზევიდან ყურება, საკუთარი უპირატესობის წინ წამოწევა ბურჟუაზიული ყოფაქცევის ნაშთია. ქედმაღალი ადამიანი თავისი ქცევით ზღვარს სდებს ადამიანებს შორის, სწყვეტს ამხანაგურ ურთიერთობას, მიუკარებელი ხდება. ასეთ ადამიანს ყოველთვის აკლია გულისხმიერება, თავაზიანობა, სხვისი ღირსებისადმი პატივისცემა; და რაც მთავარია, ქედმაღლობა, ყოყოჩობა იწვევს სიფხიზლის მოდუნებას, თავისი ძალების გადაჭარბებით შეფასებას და სხვისი ძალების შეუფასებლობას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ თავმდაბლობა ამშვენებს კომუნისტს და რასაკვირველია, იგი აგრეთვე ამშვენებს თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს, თითოეულ საბჭოთა ახალგაზრდას.

ქედმაღლობის, ყოყოჩობის გამოვლინების შემთხვევებს უფრო ხშირად ადგილი აქვს ახალგაზრდებს შორის, თუმცა იშვიათად, მაგრამ ზოგიერთი ახალგაზრდისაგან გაიგონებთ ასეთ სიტყვებს: ის ჩემთან ნოლია, მე მასთან ლაპარაკსაც არ ვიკადრებ და სხვ.

ადამიანის ყოფაქცევის ფოკუსს წარმოადგენს ტაქტი. იტყვიან ხოლმე ეს ადამიანი ტაქტიანიაო. რას გულისხმობენ ამ სიტყვაში? რა არის ტაქტი? ტაქტი არის ისეთი დამოკიდებულება ადამიანებთან, ქცევის ისეთი უნარი, როდესაც პირუთვნელად, პირდაპირ შეგვიძლია მიუთითოთ ადამიანს მის ნაკლზე და ამავე დროს არ შევლახოთ მისი თავმოყვარეობა, დავარწმუნოთ თავის შეცდომაში და გამოვასწორებინოთ იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია ვერ მივაღწიოთ მიზანს,—ნაკლის გამოსწორებას. ამისათვის კი საჭიროა ადამიანთა ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინება, მათდამი სამართლიანი, გულწრფელი და ფრთხილი მიდგომა.

უფრო ხშირად უტაქტო საქციელი თავს იჩენს ახალგაზრდებს შორის. აი, მაგალითად: სამეცადინოდ შეგროვილან ახალგაზრდები, ერთი ახალგაზრდა ჰყვება გაკვეთილს, მაგრამ შეცდომას უშვებს, მეორე ამხანაგი შეამჩნევს რა ამას შესძახებს: „ბიჭებო,—გესმით რას ჩმახავს ეს სულელი! ნაცვლად იმისა, რომ ამხანაგს მიმართოს ასე: „ეს ასე არ არის, შეცდომა დაუშვი, თუ არა გჯერა მოდი შევამოწმოთ წიგნის მიხედვით".

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანისადმი უტაქტო მიდგომა, უხეშობაში გადადის, რაც სხვა არაფერია თუ არა ადამიანისადმი შეურაცხყოფის მიყენება. უხამსობა, უხეშობა კი ადამიანის ქცევის უკულტურობაზე მეტყველებს.

ასეთია ყოფაქცევის—კულტურის ძირითადი, დამახასიათებელი ნიშნები. ადამიანის კულტურულობაზე მსჯელობენ აგრეთვე მისი ჩაცმა-დახურვის, მეტყველების, გემოვნების და სხვათა მიხედვით, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

საბჭოთა ადამიანს არ სჭირდება თავის ყოფაქცევაში წინასწარ დადგენილი წესებით ხელმძღვანელობა. ასეთი რამ სჭირდება ბურჟუაზიას, რათა თავისი მგლური მორალის შინაარსი შენიღბოს გარეგნულად ბრჭყვიალა მანერებითა და ჟესტებით.

საბჭოთა ადამიანისათვის კი მთავარია ორგანიულად შეითვისოს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, განიმსჭვალოს კომუნისტური მორალით, თავის ქცევაში ჰბაძავდეს პროგრესული კაცობრიობის დიდ ბელადებს: მარქსს, ენგელს, ლენინსა და სტალინს, და მაშინ იგი წინასწარ დადგენილი წესების გაუთვალისწინებლადაც გამოსძებნის ყოველ დროსა და ვითარებაში, კომუნისტური მორალის შესატყვისი ქცევის მაღალი კულტურის ფორმებს.

**ალ. ბილანიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




დავით ბაქრაძე
საბჭოთა კავშირის გმირი

# აი მეგობრობა*

## (პარტიზანის მოგონება)

მხატვარი კ. მახარაძე

სოფელ ბაროვეცში ყოფნის დროს ჩვენთან ახალგაზრდა პოლონელი პატრიოტი ქალები მოვიდნენ, პარტიზანთა რიგებში ჩაწერა გვთხოვეს; «როცა თქვენ დღეს პოლონეთიდან ჩვენი ქვეყნის დამპყრობლებს ერეკებით, ჩვენ არ შეგვიძლია ამ სურათის უბრალო მაყურებლებად დავრჩეთ, თქვენთან ერთად ჩვენც გვსურს იარაღით ხელში მტერს შევებრძოლოთო»—გვითხრეს მათ. ჩვენ ვურჩიეთ, რომ ისინი პოლონურ პარტიზანულ რაზმში ჩაწერილიყვნენ, მაგრამ ამაოდ, ქალიშვილები დაჟინებით გვთხოვდნენ ჩვენს რიგებში მიღებას. ჯერ, ცოტა არ იყოს უნდობლად შევხვდით მათ განცხადებას, მაგრამ სულ მოკლე ხანში დავინახეთ ამ ახალგაზრდა ქალების ერთგულება და სიმამაცე. ისინი პარტიზანული ბრძოლების დამთავრებამდე თავგაწირული იბრძოდნენ ჩვენს რიგებში.

პოლონელი ქალები ჩვენს პარტიზან გოგონებს ჩავაბარეთ. ჩვენი შენაერთის გოგონები ხომ გამოწრთობილნი და გამობრძმედილნი იყვნენ მთელი წლების განმავლობაში. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბელორუსი კომკავშირელი ქალი ნინა იანჩინა. ის ჩვენს შენაერთში რადისტად მუშაობდა, მაგრამ როცა რაციას არ მართავდა, ავტომატით ხელში ჩვენთან ერთად იბრძოდა. ნინა თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა. ომის წინა თვეებში მას პედაგოგიური სასწავლებელი დაემთავრებინა და მასწავლებლობაზე ოცნებობდა. გატაცებული იყო ამ პროფესიით. მაგრამ დაიწყო ომი და ბელორუსიის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით იანჩინა არალეგალური მუშაობის მოსაწესრიგებლად ადგილზე დატოვეს. მან მოკლე დროში შესძლო აქტიური კომკავშირელების შეკავშირება და რთული საქმეების ჩატარება. ნინას მიერ შეკავშირებული კომკავშირული ჯგუფი მალე პარტიზანულ რაზმად იქცა. 1942 წლის 19 ოქტომბერს იანჩინა მოსკოვში გაიწვიეს. მან უვნებლად გადაიარა ფრონტის ხაზი და მოსკოვში ჩავიდა. აქ ის რადისტების სკოლაში მოაწყეს. კურსის დამთავრების შემდეგ იანჩინა, განსაკუთრებული დანიშნულების ჯგუფთან ერთად, კოვპაკის შენაერთში გამოგზავნეს. ამ დღიდან, პარტიზანული ბრძოლების დამთავრებამდე, ავტომატს და რაციას მუდამ მარჯვედ ათავსებდა.

ნინა იანჩინა რაციაზე მუშაობის დროს სიცოცხლეს უმწარებდა ჰიტლერელებს, მოთმი-

* ნაწყვეტი წიგნიდან „გმირთა სისხლით“.

ნებიდან გამოჰყავდა ისინი. ნინა ყურს მოკრავდა თუ არა გერმანელების რაციის ამუშავებას, თავისი რაციით განგაშს შექმნიდა და მტრის რადისტების მუშაობას ხელს უშლიდა.

როცა ახალგაზრდა პოლონელი ქალები ჩვენთან მოვიდნენ, მათ განაცხადეს: «ჩვენ საბჭოთა წესწყობილებაზე ცოტა რამ ვიცით, ცოტა რამ წაგვიკითხავს და გაგვიგონია. ჩვენებურ პანებსა და ვაჭრებს სძულთ საბჭოთა ქვეყანა, ეჯავრებათ თქვენი წესწყობილება. ჩვენ ვფიქრობთ, ვინაიდან პანებს სძულთ, საბჭოთა კავშირის წესწყობილება კარგი იქნება. დიდი სურვილი გვაქვს გავეცნოთ საბჭოთა ქვეყნის მართვა-გამგეობას».

ასე განაცხადეს პოლონელმა ქალებმა. სად უნდა მოგვეძებნა მათთვის უკეთესი მასწავლებელი, ვიდრე ნინა იანჩინა იყო. პოლონელი ქალების ხელმძღვანელებად ჩვენ ნინა და მისი მეგობარი ქალი ნადია ციგანკო გამოვყავით.

ნადია ციგანკო ჩვენს შენაერთში ფედჩუკის რაზმს მოჰყვა. ომის პირველ ხანებში ის ერთ-ერთ დროებით ოკუპირებულ რაიონში მოხვედრილიყო. მშობლებს განეზრახათ ნადია საევაკუაციო მატარებლით გაესტუმრებინათ. მაგრამ გოგონამ დამალვა მოასწრო და ადგილზე დარჩა. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ნადიას ეს გაბედული ნაბიჯი მოიწონეს, მალე მას მტრის ზურგში არალეგალური მუშაობის გაშლა დაავალეს. ნადია ციგანკო მთელს რაიონში ცნობილი იყო როგორც აქტიური კომკავშირელი. პარტიზანების შეკითხვაზე, თუ როგორ დაიწყო ნადიამ მუშაობა ოკუპირებულ რაიონში, მან თქვა: «დღე და ღამე დათარეშობდნენ ოკუპირებულ სოფლებში ჰიტლერელები. ავტომანქანებისა და მოტოციკლეტების განუწყვეტელი ზუზუნი იდგა ქუჩებში. როგორც საკუთარ სახლში, ისე დაურიდებლად შედიოდნენ ბინებში, ავიწროებდნენ მოსახლეობას, კვერცხი რა არის, იმასაც არ ტოვებდნენ, ქუჩაში გავლა ხომ საბედისწერო იყო. ვინც ქუჩაში გამოჩნდებოდა საღამოს ექვსი საათის შემდეგ, მას დაუყოვნებლივ ატუსაღებდნენ, უთუოდ პარტიზანი იქნებაო. სოფლებში დარჩენილი მოხუცები და ბავშვები თავზარდაცემული იყვნენ, კარში გამოსვლას ვერ ბედავდნენ. მე ჩვენი რაიონის თითქმის ყველა კომკავშირელს ვიცნობდი. საღამოს ექვს საათამდე დავდიოდი სოფლიდან სოფელში, ბევრი ნაცნობი კომკავშირელი გვხვდებოდა ადგილზე. ისინი სიამოვნებით ღებულობდნენ ჩემს წინადადებას — გაეშალათ არალეგალური მუშაობა დი მტრის ზურგში დივერსიები მოეწყოთ. ამას გარდა სხვა ამოცანასაც ვუსახავდი კომკავშირელებს: გავამხნეოთ მოსახლეობა, გამარჯვების იმედი შთავუნერგოთ, მართალი სიტყვა ვუთხრათ, განვუმარტოთ, რომ რამდენადაც მოსახერხებელი იქნება მტერს სურსათ-სანოვაგეს ნუ მისცემენ, გადამალონ პური. აი ამ სიტყვებით მივმართავდი ახალგაზრდებს.

ნადია ციგანკომ შეარჩია აქტიური კომკავშირელები და ოლევსკის რაიონში იმხანად მოქმედ ფედჩუკის პარტიზანულ ჯგუფს შეუერთდა. როცა ფედჩუკი ჩვენთან მოვიდა, მას ციგანკო თავისი ჯგუფით თან მოჰყვა.

იცით, რა მარჯვე მეავტომატე მოვიყვანე? აი, ის ახალგაზრდა ქალი, სანიმუშო კომკავშირელია და ბრწყინვალე მსროლელი,— გვითხრა მოსვლის პირველ დღესვე ფედჩუკმა. ნადია მთელ შენაერთში მალე თითით საჩვენებელი გახდა. ძნელი დავალება ციგანკოსთვის არ არსებობდა, საკუთარი სიცოცხლის ფასად რომ დასჯდომოდა, მინდობილ საქმეს დროულად და მარჯვედ გააკეთებდა,

ნადია ციგანკო პოლონელ ახალგაზრდა ქალებს პოლიტიკურად წვრთნიდა, ხოლო სანიტარი ქალი ნადია ლავრინესი მათს ჯანმრთელობაზე ზრუნავდა. ლავრინესი როგორც გულისხმიერი და საუკეთესო ამხანაგი, ცნობილი იყო მთელს ჩვენს დივიზიაში. პოლონელი გოგონები პირველ ხანებში ხშირად ხდებოდნენ ავად, ნადია დღე-ღამე მათთან ტრიალებდა. თავისი გულთბილი, მეგობრული დამოკიდებულებით მან სტუმარი ქალების გული სამუდამოდ მოიგო. პოლონელი გოგონები შეგვეთვისნენ, შეგვეგუენ, მუდამ მზად იყვნენ ჩვენთან ერთად ყველა ძნელი დაბრკოლება გადაელახათ.

ლავრინესი სუმის ოლქიდან იყო. ამ ქალის ოჯახი მთლიანად ჩვენს დივიზიაში ირიცხებოდა. დედა შტაბის მზარეულის მოვალეობას ასრულებდა, მამა რიგითი მებრძოლი იყო, ძმა დივიზიის სადაზვერვო ჯგუფში ირიცხებოდა.

— ოჯახში თუ დასტოვეთ, ნადია, ვინმე? —მებრძოლების ამ შეკითხვაზე ნადიას გაეღიმებოდა და უპასუხებდა: «კატა და ძაღლი დავტოვეთ, შიმშილით თუ არ დაიხოცნენ!»

# რ ა ვ ი კ ი თ ხ ო თ



## ანა ხახუტაშვილი — „გაზაფხულის მერცხლები“

ჩვენს საბავშვო ლიტერატურაში ანა ხახუტაშვილის შემოქმედებას განსაკუთრებული და ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი ახალი წიგნიც—„გაზაფხულის მერცხლები“ საუკეთესო საბავშვო წიგნთა რიცხვს მიეკუთვნება. ამ წიგნს ღრმა ინტერესით ეცნობა როგორც ნორჩი, ისე მოზრდილი მკითხველიც.

რით იმსახურებენ ა. ხახუტაშვილის მოთხრობები ამ ინტერესსა და ყურადღებას?

ა. ხახუტაშვილის საბავშვო მოთხრობების უმრავლესობა მკითხველებსა ჰხიბლავს თავისი სიწრფელითა და უშუალობით; აქ ყველაფერი ხალასია და ნამდვილი, აქ ცოცხალი ცხოვრების ხმა ისმის; პატარა გოგონები და ბიჭები — ამ მოთხრობების პერსონაჟები თქვენს თვალწინ იდგამენ ენას, თითქოს მოგესმით მათი მხიარული ყიჟინი, მათი მოუსვენარი გულების ფეთქვა. მწერლის ენაც—მდიდარი და ძარღვიანია, სავსეა მოსწრებული ხალხური თქმებით და რაც მთავარია—სავსებით ბუნებრივი და სადაა.

ა. ხახუტაშვილის წიგნი ჩვენი ლიტერატურის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს, აბა გადაიკითხეთ პირველივე მოთხრობა „სკოლის ტოროლა“. ეს არის მართლაც შედევრი, რომლებშიაც ისეთი დიდი სიყვარულია ჩაქსოვილი, რომ მკითხველს დიდხანს არ დაავიწყდება იგი. აქ ავტორი საუცხოვო ოსტატობით ჰქმნის პატარა გოგონას პორტრეტს, მოგვითხრობს მის არაჩვეულებრივ და სასაცილო თავგადასავალს.

ანა ხახუტაშვილის მოთხრობებში ნაჩვენებია ის დაუცხრომელი მისწრაფება სწავლისაკენ რომელიც ჩვენც ბავშვებს ახასიათებს.

ა. ხახუტაშვილი თავისი მოთხრობებით („პატარა დიასახლისი“, „ყანაში“, „გოგი ბოსტანში“, „დედას დაეხმარნენ“, „შენი კალთების ქირიმე, ურწყავო“ და სხვ.) ბავშვებს უნერგავს შრომისადმი სიყვარულს, გვიჩვენებს პატარების მისწრაფებას — დაეხმარონ მშობლებს, განამტკიცონ თავიანთ არსებაში შრომის ჩვევები.

ყურადღებას იპყრობენ მოთხრობები ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს შესახებ („გაზაფხულის მერცხლები“, „ზღარბის თავგადასავალი“, „მურიკას მარცხი“, „ვასიკოს იორღა“ და სხვ.). ავტორი შესანიშნავად იცნობს ბუნებას და ამ ცოდნას ოსტატურად იყენებს პეიზაჟების ხატვის დროს.

„გაზაფხულის მერცხლები“ კარგი წიგნია, რომელიც მკითხველს მოუთხრობს ჩვენი ნორჩი თაობის ბედნიერ და ხალისით სავსე ცხოვრებაზე.

**გ. ნატროშვილი**

---




## ნინო ნაკაშიძე — „საბავშვო მოთხრობები“

დიდძალი საბავშვო მოთხრობებიდან, რომელიც მხცოვანმა მწერალმა ნინო ნაკაშიძემ უკანასკნელ წლებში დაწერა, ყურადღებას იპყრობს „საბლიტგამის“ მიერ ახლახან გამოცემული კრებული.

წიგნი იხსნება პატარა მოთხრობით „გაზაფხულია! გაზაფხული!“ მწერალი ლამაზად გვიხატავს გაზაფხულის მოსვლას, მთიდან მოხეთქილი ნაკადულების რაკრაკს, ფრინველების სტვენა-გალობას. ერთი სიტყვით მშობლიური ბუნების გამოღვიძების დიად სურათს.

უფროსებისადმი პატივისცემას გვასწავლის მოთხრობა „ზურიკო და პაპა“. როცა ავადმყოფობით დაუძლურებული პაპა ზურიკოს ბაღში სასეირნოდ ვერ წაყვა, პატარამ მოხუცს ხის ცხენი მოურბენინა და თავაზიანად უთხრა: „—აჰა, პაპა, ჩემ ცხენზე შეჯექი ფეხები აღარ გეტკინება, წავიდეთ“.

საბჭოთა მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობა მწერალმა დიდი სიყვარულით დაგვიხატა მოთხრობაში „ყველამ მიულოცა“.

პატარა თინიკომ ამხანაგებთან ერთად ფერად-ფერადი ყვავილები მიულოცა ძვირფას მასწავლებელს ელენეს, რომელიც ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის მთავრობამ ლენინის ორდენით დააჯილდოვა. ვალმოხდილმა აღმზრდელმა გულთბილი მადლობა მიუძღვნა კუდრაჭებს.

ჩვენი ახლო წარსულიდან საინტერესოა მოთხრობები დიდ მწერალ ილია ჭავჭავაძეზე და გამოჩენილ პედაგოგზე იაკობ გოგებაშვილზე. ნ. ნაკაშიძე მოხდენილად გადმოგვცემს ორი სახელმოხვეჭილი ადამიანის უანგარო სიყვარულს ბავშვებისადმი.

კრებულში ბევრია მოთხრობები ცხოველთა და ფრინველთა სამყაროზე. ამ მხრივ აღსანიშნავია „ვარხვი“, „აქლემი“, „მაიმუნი“, „სპილოს წერილი პატარა ცელქებს“ და სხვ.

ნ. ნაკაშიძის მოთხრობების წიგნი, რომელიც მშვენიერი ქართული ენითაა დაწერილი, ჩვენ ბედნიერ თაობას ზრდის სოციალისტური სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

**სიმ. სხირტლაძე**

# მოკლედ ყველაფერზე



## გონდურასის ბანანი

გონდურასი ცენტრალური ამერიკის ერთ-ერთი პატარა რესპუბლიკაა. „თვითმფრინავი ჯორის გვერდით"—ასე ახასიათებენ გონდურასს ამერიკელი კოლონიზატორები, რომლებმაც ეს რესპუბლიკა თავისი ბანანის პლანტაციად გადააქციეს.

და მართლაც, ამ მთიან მხარეში მიმოსვლის ყველაზე ხელსაყრელ საშუალებას თვითმფრინავი წარმოადგენს, მაგრამ ტრანსპორტის ამ სახით მხოლოდ მდიდარი ამერიკელები და ტურისტები სარგებლობენ, რესპუბლიკის ძირითადი მოსახლეობა კი ტრანსპორტის ძველისძველ სახეს იყენებს: სასაპალნე ჯორითა და პრიმიტიული, ძალზე მარტივი ურმით ეზიდებიან გონდურასის ბანანს რკინიგზამდე. რკინიგზით ბანანი გემებზე გადააქვთ. ეს გემები თეთრადაა შეღებილი და მათზე მაცივარები დგას. მაცივარები საჭიროა, რათა ტროპიკული სათუთი მცენარე, ნაადრევად არ დამწიფდეს და გზაში არ გაფუჭდეს.

ყოვლისშემძლე ამერიკული „მეხილეობის კომპანია" უდიდეს მზრუნველობას იჩენს ბანანის დასაცავად, რომელიც მისთვის დიდძალი მოგების წყაროს წარმოადგენს. პლანტაციებში მომუშავე მოჯამაგირეთა შრომა კი, სამაგიეროდ, ჩალის ფასად უღირს.

გონდურასი უძველესი კულტურის ქვეყანაა. აქ შემორჩენილია ინდიელი ხალხის—მაიას ცივილიზაციის ძეგლები. ერთ-ერთი ასეთი ძეგლი სურათზეა (ზემოთ, მარცხნივ) გამოსახული.

## სელაპი შავ ზღვაში

ლიტერატურული ცნობების მიხედვით, შავ ზღვაში ოდესღაც გავრცელებული იყო სელაპი. შავი ზღვის სანაპიროს დასახლების შემდეგ, სელაპის რიცხვმა საგრძნობლად იკლო. ზოგიერთი ავტორის ცნობით, ახლა სელაპი გვხვდება, მაგრამ იშვიათად, ანატოლიის სანაპიროს მახლობლად, ხოლო 1939 წელს კი ერთად ერთი ეგზემპლარი ბათუმის რაიონშიც გამოჩნდა.

ამჟამად სელაპის მთელი კოლონია ბინადრობს მხოლოდ გველის (ფიდონისის) კუნძულსა და დუნაის დელტას რაიონში. გველის კუნძულის ქვიანი სანაპირო უკანასკნელი თავშესაფარია შავი ზღვის სელაპისათვის.

ქალაქ ვილკოვოს მეთევზეებს უკანასკნელი 5-6 წლის მანძილზე სულ მხოლოდ ხუთი შემთხვევა ჰქონდათ სელაპის დაჭერისა.

## პირველი თერმომეტრი

ცნობილი იყო, რომ პირველი თერმომეტრი თითქოს გამოიგონეს ცელსიმ—1742 წელს და რეომიურმა—1743 წელს. ნამდვილად კი პირველობა რუს მეცნიერს ეკუთვნის: პირველი თერმომეტრი გააკეთა და აღწერა 1733 წელს პეტერბურგელმა აკადემიკოსმა ი. ნ. დელილმა.

## პირამიდული მუხა

სამხრეთ უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ყუბანში ხარობს მეტად იშვიათი კონუსის ფორმის მუხა. მისი გვირგვინი ზევითკენ ვიწროვდება, და შორიდან ეს მუხა ალვის ხეს ან კვიპაროზს მოგვაგონებს. ფოთოლი და რკო მას ისეთივე აქვს, როგორც ჩვეულებრივ მუხას.

ერთი ასეთი უზარმაზარი პირამიდული მუხა იზრდება კრასნოდარის მხარის ივანოვოს რაიონის დაბა კრასნი ლესში. ამ მუხის სიმაღლე 20 მეტრს აღწევს, გვირგვინის დიამეტრი კი—4 მეტრს.

კონუსებრი მუხა ძალიან გამოსაყენებელია ველსაცავ და თოვლსაცავ ტყის გასაშენებლად. ასეთი მუხა ჩვეულებრივზე მაღალია, და ქარს უკეთ აკავებს. ეს მუხა ძალიან კარგია აგრეთვე პარკების, ხეივნებისა და გზების გამწვანებისათვის:



## „მესაქონლე“ ჭიანჭველები

ჭიანჭველები რთული და მრავალნაირი ინსტიქტით გამოირჩევიან სხვა მწერებისაგან. ჭიანჭველა ერთადერთი ცოცხალი არსებაა, გარდა ადამიანისა, რომელიც თავისებურ „მეცხოველეობას“ ეწევა. ჭიანჭველები სიამოვნებით შეექცევიან არა მარტო ზოგიერთ ყვავილთა წვენს, არამედ მღილის ტკბილ გამონაყოფსაც მიირთმევენ.

ჭიანჭველები, გარდა მღილისა, „შინაურ ცხოველებად“ სხვა მწერებსაც იყენებენ: ჭიებს, ზოგიერთ ხოჭოებს, პეპლებს. ჭიანჭველის ტროპიკული სახეობანი თავის „შინაურ ცხოველებს“ უქმნიან სპეციალურ პირობებს, ათავსებენ სხვა მწერებისთვის მიუვალ მიწისქვეშეთში, ასაზრდოებენ, იცავენ და დარაჯობენ მათ.

## „ოქროსმაძიებელი“ ფრინველები

ურალი მდიდარია იშვიათი და ძვირფასი ლითონებით, განსაკუთრებით ოქროთი, რომელიც მრავლადაა გაბნეული მდინარეთა ხეობების ქვიშებში. გარეული და შინაური ფრინველები კენკავენ ქვიშასა და ქვის პატარა ნამსხვრევებს, რაც აუცილებელია ფრინველის კუჭის მოქმედებისათვის; ამასთანავე ისინი ყლაპავენ ქვიშაში გაბნეულ ოქროს პატარა ნაწილაკებსაც. ფრინველის დაკვლისას მის კუჭში ხშირად ნახულობენ ოქროს მარცვლებს; ამიტომ გარეული და შინაური ფრინველები ხშირად გარკვეულ სამსახურს უწევენ ადამიანს ოქროს ახალი საბადოების აღმოჩენაში.






## შ ი ნ ა ა რ ს ი


გვ.

ი. ნონეშვილი—ზოია (ნაწყვეტი პოემიდან) . . . . . . . . 1

ა. გაიდარი—P. B. C. (მოთხრობა, დასასრული.) . . . . . . . 2

დ. გაჩეჩილაძე—ჰუმბერტ ისიდორი (ბალადა) . . . . . . . . 8

ლეო ქიაჩელი—ზეიმის დღეს (მოთხრობა) . . . . . . . . 10

თ. ჭილაძე—სტალინგრადელი (ლექსი) . . . . . . . . . 15

ვ. ჯავახაძე—ქართული ავტო სოფლად (ლექსი) . . . . . . . 15

ო. შალამბერიძე—ვაშლისხე (ლექსი) . . . . . . . . . . 15

ჯ. ჩარკვიანი—მამული (ლექსი) . . . . . . . . . . . 15

მ. ლებანიძე—ოქუმელი პიონერები (ნარკვევი) . . . . . . . 16

იშტვან კარცაგი—საშკა (მოთხრობა) . . . . . . . . . . 18

ი. სიხარულიძე—მევენახის სიმღერა (ლექსი) . . . . . . . 22

ვ. ბარათაშვილი—საბჭოთა მეზღვაურის ჩანაწერები . . . . . 23

ა. ბილანიშვილი—ახალგაზრდობის ყოფაქცევისა და კულტურის შესახებ (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . 26

დ. ბაქრაძე—აი მეგობრობა (პარტიზანის მოგონება) . . . . . 28

გ. ნატროშვილი—ა. ხახუტაშვილი—„გაზაფხულის მერცხლები“ (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . . 30

ს. სხირტლაძე—ნ. ნაკაშიძე—„საბავშვო მოთხრობები (წერილი) 30

მოკლედ ყველაფერზე: ა) გონდურასის ბანანი, ბ) სელაპი შავ ზღვაში, გ) პირველი თერმომეტრი, დ) პირამიდული მუხა, ე) მესაქონლე ჭიანჭველები, ზ) „ოქროსმაძიებელი“ ფრინველები . . . . . . . . . . . . . . . . 31

ჭადრაკი—სასიქადულო ქართველი მოჭადრაკე . გარეკანის 3


გარეკანის პირველ გვერდზე—„გეოგრაფიის კაბინეტში“—ნახატი ალ. გიგოლაშვილისა.

გარეკანის მეორე გვერდზე „ზოია რუხაძე“—ნახატი რ. სტურუასი.

გარეკანის მეოთხე გვერდზე „ნორჩ ფიზკულტურელთა სიმღერა“ (ნოტები).

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: კ. მახარაძის, პ. გიგოლაშვილის, ზ. ლეჟავას, ალ. ბანძელაძისა და შ. ცხადაძის მიერ.


რედაქტორი რ. მარგიანი. პ/მგ. მდივანი მ. ლებანიძე. სარედაქციო კოლეგია: ე. აგლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიაშვილი, ვ. თავზიშვილი, მარიჯანი, გ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია. სამხატვრო რედ. გ. ფოცხიშვილი.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии Октябрь № 10 1952.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85. საბლიტგამი.

უე 14859 ტირაჟი 15.000 გამომც. შეკვ. № 151 სტამბის შეკვ. № 1167 ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის 14, გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭადრაკი

## სასიქადულო ქართველი მოჭადრაკე

XIX საუკუნის დამლევს და XX დამდეგს ევროპაში ფართოდ იყო ცნობილი ნიჭიერი ქართველი მოჭადრაკის ანდრია დადიანის სახელი.

ა. დადიანი დაიბადა 1850 წელს ქ. ზუგდიდში; იყო სახელოვანი მკონსის ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი. ნიჭიერმა ბავშვმა ჭადრაკის თამაში მშობლებისაგან ისწავლა და ბავშვობაშივე გამოამჟღავნა ჭადრაკისადმი დიდი სიყვარული. საზღვარგარეთ (საფრანგეთში და გერმანიაში), სადაც დადიანების ოჯახი ცხოვრობდა, ანდრია ეცნობა და ხშირად ეთამაშება ევროპის ცნობილ მოჭადრაკეებს: ინგლისელ ბერნს, უნგრელ კოლიშს, ფრანგ დე რივიერს. თავისი თამაშით და გამოჩენილი მოჭადრაკეების პარტიების გონებამახვილური საჯარო ანალიზებით ა. დადიანი პოპულარული ხდება პარიზის განთქმულ კაფე რეჟანსში, რომელიც ათეული წლების მანძილზე წარმოადგენდა ევროპის მოჭადრაკეების თავშესაყარს. უკვე 17 წლის ნიჭიერი მოჭადრაკე ორთაბრძოლაში ძლევს ცნობილ გროსმაისტერ კოლიშს. აი, დადიანისა და კოლიშის ერთ-ერთი პარტია, რომელშიც ჭაბუკი მოჭადრაკე კომბინაციური ხერხებით აღწევს გამარჯვებას.

### ა. დადიანი — ი. კოლიში

1. e4 e5 2. f4 ef 3. მf3 g5 4. კc4 g4 5. 0—0 gf 6. ლ:f3 ლf6 7. e5 ლ:e5 (ყველაფერი ეს ცნობილია თეორიაში) 8. b3 (დადიანი ახლებურად თამაშობს და მძაფრ შეტევას ავითარებს).



8. ... კh6 (თუ 8. ...ლ:a1 9. მc3 და თეთრები მოიგებენ) 9. კb2! ლ:b2 10. მc3 ლ:c2 11. ეae1+მe7 12. ლh5 ლg6 13. ე:e7!! მფd8 (თუ 13. ... მფ:e7 14. ლe5+ მფd8 15. ლ:h8+ მფe7 16. ეe1+ მფd6 17. ლd4+ მოგებით) 14. ლe2 d6. 15. ეe1 კd7. 16. ე:d7+! მფ:d7 17. კb5+ c6 18. ლe7+ მფc8 19. მd5! cd 20. ეc1+მc6 21. ე:c6+ bc 22. კa6+ მფb8 23. ლb7X.

70-იან წლებში ა. დადიანი სწავლობს ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში. ამ დროს იგი თავისუფლად ლაპარაკობს ექვს ევროპულ ენაზე და უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტად ითვლება. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ა. დადიანი ჩამოდის რუსეთში და იწყებს სამხედრო სამსახურს, მაგრამ ჭადრაკს არ ივიწყებს. ახლა უკვე პეტერბურგის მოჭადრაკეების ძლიერი მეტოქეა. 1881-1882 წ. წ. ნიჭიერი მოჭადრაკე უგებს პარტიებს თვალსაჩინო რუს მოჭადრაკე ი. შუმოვს, მოსკოვის ხუთგზის ჩემპიონს ა. სოლოვცოვს, მარკორანის, ლიზელს და სხვას, ხოლო მოჭადრაკეთა ორ ტურნირში ა. დადიანი დაუმარცხებლად პირველ პრიზებს იღებს. 1888 წ. დადიანი თბილისში ჩამოდის და ამარცხებს ადგილობრივ მოჭადრაკეებს.

80-ან წლებში დადიანი მოგზაურობს ევროპაში, ეწვევა პარიზს, რომს, ჰამბურგს და სხვა ქალაქებს. აქ იგი ყოველთვის ნახულობს სასურველ პარტნიორებს. მაგალითად, 1880 წ. რომში დადიანი ყაიმით ამთავრებს მატჩს გამოჩენილ იტალიელ ოსტატ დიუბუასთან.

ნიჭიერი მოჭადრაკის რუსეთში მოღვაწეობის პერიოდი ნაკლებათაა შესწავლილი. ცნობილია მხოლოდ, რომ დადიანი იცნობდა გენიალურ რუს მოჭადრაკეზ მ. ჩიგორინს, ე. შიფერს, ალაპინს და სხვას.

1906 წელს ქ. კიევში ა. დადიანი გარდაიცვალა. ამ დროს იგი უკვე გენერალ-ლეიტენანტი იყო.

ა. დადიანს დარჩა მდიდარი საჭადრაკო მემკვიდრეობა. მისი პარტიები მეტყველებენ ფართო ერუდიციაზე, მახვილ გონებაზე და თამაშის გაგების მაღალ გემოვნებაზე. დადიანის კომბინაციური პარტიები ხშირად იბეჭდებოდა რუსეთისა და ევროპის საჭადრაკო ჟურნალებში.

ცნობილია ისიც, რომ ნიჭიერი მოჭადრაკე უბადლო ოსტატობით თამაშობდა დაფაზე დაუხედავად („თვალხუჭულად"). მაგალითად, მას, „თვალხუჭულად" ერთდროულად დაუმარცხებია 10 მოჭადრაკე. ასეთი თამაში ახლა აკრძალულია, რადგან იგი მოჭადრაკის ჯანმრთელობისათვის საშიშ გადაღლას იწვევს.

მოგვყავს ა. დადიანის პარტიიდან კომბინაციური დამთავრება, რომლის ამოხსნას მკითხველს მივანდობთ:

დადიანი (თეთრები): მფg2, ლh4, ეd7, ეd2 პ-ბი: a2, b3, e5, f4, f3, h2 (10).

შმიტი (შავები): მფg7, ლe3, ეc6, ეe8 პ-ბი: a4, b5, f7, f5, g5, h7 (10).

თეთრები იწყებენ და ეფექტური კომბინაციით იგებენ.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში

367/464

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნორჩ ფიზკულტურელთა სიმღერა

მუსიკა შ. მილორავასი   ტექსტი ი. სიხარულიძისა




ფასი 2 მან.